

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ა. შ. გუგუშვილი, თ. გ. იმედაძე, დ. ფ. გარგი

## ავტომატური მართვის თეორია მდგომარეობის სივრცის მეთოდი

დამტკიცებულია სახელმძღვანელოდ სტუ-ს  
სასწავლო-მეთოდური საბჭოს მიერ

გამოცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“

თბილისი 1994

უკ 681.51.011(075.8)

**ა. შ. გუგუშვილი, თ. გ. იმედაძე, დ. ფ. გარბი.**

ავტომატური მართვის თეორია (მდგომარეობის სივრცის მეთოდი). -თბილისი: სტუ-ს გამომცემლობა, 1994. -111 გვ.

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს კურსისათვის - ავტომატური მართვის თეორია, რომელშიც განხილულია საკითხები, დაკავშირებული ავტომატური მართვის სისტემების აგების პრინციპებთან და მისი თვისობრივი ანალიზის მეთოდების შესწავლასთან. მოცემულია ძირითადი ცნებები, ამოცანების დასა და მათი გადაწყვეტა ავტომატური მართვის თეორიის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, დაუფლებული მართვადობისა და დაკვირვებადობის ცნებებზე, მდგომარეობის სივრცის მეთოდზე, მოდელური მართვის პრინციპებზე. ეს საშუალებას იძლევა, გამოავლინოს ურთიერთკავშირები ავტომატური მართვის სისტემების კლასიკის მეთოდების შორის, დამყარებულს მათემატიკურ მოდელებზე: შემავალი-გამომავალი და შემავალი-მდგომარეობა-გამომავალი.

წიგნი გათვლილია მეცნიერულა ფართო წრისათვის: მეცნიერებისათვის, ასპირანტებისათვის, სტუდენტებისათვის და მათთვის, ვისაც სურს დაეუფლოს ავტომატური მართვის თანამედროვე თეორიას.

**Гугушвили А. Ш. Имедадзе Т. Г. Гарб Д. П.**

Теория автоматического управления (Метод пространства состояний). -Тбилиси: Изд-во ГТУ, 1994. -111 с.

Книга представляет собой учебник по курсу Теория автоматического управления (Метод пространства состояний), в котором рассматриваются вопросы, связанные с изучением принципов построения и методов качественного анализа систем автоматического управления. На основе современной теории автоматического управления (наблюдаемость и управляемость, методов пространства состояний, теории наблюдателей, теории модального управления) возможно решить многие задачи теории, практики, анализа и синтеза САУ.

Книга предназначена для широкого круга читателей: студентов, аспирантов, а также специалистов, знакомящихся с применением методов пространства состояний для решения задач анализа и синтеза САУ.

რეცენზენტები: საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები:

ვ. კ. ჭიჭინაძე  
ბ. ე. სალუქვაძე

|                                                                                                                    |     |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| წინასიტყვაობა                                                                                                      | 7   |
| <u>1. წინამდებარე სისტემის მდგომარეობის სივრცე</u>                                                                 | 9   |
| 1.1 სისტემის მდგომარეობა                                                                                           | 9   |
| <u>2. პირველი რიგის სისტემები</u>                                                                                  | 11  |
| 2.1 სისტემის მდგომარეობა და მისი თვისებები                                                                         | 13  |
| 2.2 სისტემის წრფივობა და მისი სტაციონარულობა                                                                       | 14  |
| 2.3 პირველი რიგის სისტემების მათემატიკური თვისებები                                                                | 18  |
| <u>3. მაღალი რიგის სისტემები</u>                                                                                   | 21  |
| 3.1 მატრიცების თეორიის ძირითადი ცნებები                                                                            | 21  |
| 3.2 მდგომარეობის განტოლების მატრიცული წარმოდგენა<br>მაგალითი: სიჩქარის რეგულატორის მდგომარეობის განტოლების შედგენა | 32  |
| 3.3 მდგომარეობის გარდამავალი მატრიცა და მისი არსი                                                                  | 37  |
| 3.4 წრფივი სტაციონალური სისტემის გარდამავალი მატრიცის განსაზღვრა                                                   | 39  |
| 3.5 ფაზური ცვლადების კანონიკურ ფორმაში გარდაქმნა                                                                   | 48  |
| 3.6 ჟორდანის კანონიკური ფორმა                                                                                      | 53  |
| 3.7 წრფივი სისტემები, რომლებიც არ შეიძლება აღიწერონ მდგომარეობის<br>ცვლადებით                                      | 57  |
| 3.8 ურთიერთკავშირი მდგომარეობის განტოლებებსა და გადაცემით ფუნქციებს<br>შორის                                       | 57  |
| <u>4. წრფივი სისტემების მდგრადობა</u>                                                                              | 61  |
| 4.1 წრფივი სისტემების მდგრადობა და მისი თვისებები                                                                  | 61  |
| 4.2 მდგრადი წრფივი სისტემის თვისებები                                                                              | 64  |
| 4.3 სტაციონალური წრფივი სისტემების მდგრადობა                                                                       | 65  |
| 4.4 სისტემის მდგრადობა შემავალ და გამოშვალ სიდიდეებს შორის<br>თანაფარდობის თვალსაზრისით                            | 66  |
| <u>5. უწყვეტი წრფივი სისტემების ლაპირვეზაობა და მართვაობა</u>                                                      | 74  |
| 5.1 უწყვეტი წრფივი სისტემების დაკვირვებადობა                                                                       | 75  |
| 5.2 უწყვეტი წრფივი სისტემების და მართვაობა                                                                         | 78  |
| 5.3 მართვადი/დაკვირვებადი/ქვესისტემების გამოყენება                                                                 | 82  |
| 5.4 მაგალითი:<br>თვითმფრინავის მართვის გამართვებული მოდელის გამოკვლევა                                             | 85  |
| <u>6. მდგომარეობის იდენტიფიკატორები</u>                                                                            | 89  |
| 6.1 დამკვირვებლების თეორია (ლიუნბერგერის იდენტიფიკატორის თეორია)                                                   | 89  |
| 6.2 სისტემების მოდალური მართვა,<br>რეგულატორების კონსტრუქციის ამოცანა                                              | 95  |
| <u>7. გადამხდელური ქანქარა და მისი ანალიზი მდგომარეობის სივრცის<br/>მეთოდის საშუალებით</u>                         |     |
| ლიტერატურა                                                                                                         | 101 |
|                                                                                                                    | 111 |

# CONTENTS

|                                                                                                  |     |
|--------------------------------------------------------------------------------------------------|-----|
| <u>1. STATE SPACE OF DYNAMIC SYSTEM</u>                                                          | 9   |
| 1.1 State of System                                                                              | 9   |
| <u>2. FIRST-ORDER SYSTEMS</u>                                                                    | 11  |
| 2.1 State of System and It's Features                                                            | 13  |
| 2.2 Linearity and Time-Invariant Systems                                                         | 14  |
| 2.3 Mathematical Features of the First Order Systems                                             | 18  |
| <u>3. HIGH-ORDER SYSTEMS.</u>                                                                    | 21  |
| 3.1. Elementary Matrix Theory                                                                    | 21  |
| 3.2. Matrix Representation of State Equations<br>Case study: State Equation of a Speed Regulator | 32  |
| 3.3. State Transition Matrix                                                                     | 37  |
| 3.4. Transition Matrix of a Linear Time-Invariant System                                         | 39  |
| 3.5. Transformation to Phase-Variable Canonical Form                                             | 48  |
| 3.6. Jordan Canonical Form                                                                       | 53  |
| 3.7. Linear Systems - which are not discribed by State Variables                                 | 57  |
| 3.8. Relationship Between State Equations and Transfer Functions                                 | 57  |
| <u>4. STABILITY OF LINEAR SYSTEMS</u>                                                            | 61  |
| 4.1. Stability of Linear Systems and Their Features                                              | 61  |
| 4.2. Features of Stable Linear System                                                            | 64  |
| 4.3. Stability of Linear Time-Invariant Systems                                                  | 65  |
| 4.4. Stability of Linear Systems with inputs and outputs                                         | 66  |
| <u>5. CONTROLABILITY AND OBSERVABILITY OF LINEAR SYSTEMS</u>                                     | 74  |
| 5.1. Controllability of Linear Systems                                                           | 75  |
| 5.2. Observability of Linear Systems                                                             | 78  |
| 5.3. Controllable /Observable/ Subsystem                                                         | 82  |
| 5.4. Case study: Simulation of Airplanes Control                                                 | 85  |
| <u>6.IDENTIFICATORS OF STATE</u>                                                                 | 89  |
| 6.1 Theory of Observars                                                                          | 89  |
| 6.2. Model Control of System                                                                     | 95  |
| <u>7. STATE SPACE ANALYSIS OF A PIVOTED LINK IN A GRAVITY FIELD</u>                              | 101 |

სპეციალისტთა სამსჯავროზე წარმოდგენილი წიგნი არის ნაწილი იმ ნაშრომთა ციკლისა, რომელიც ჩაითქირა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრის მეცნიერ - თანამშრომლებმა ამერიკის შეერთებული შტატების დუკის უნივერსიტეტის ანალოგიური დეპარტამენტის პროფესორთან ერთად.

ნაშრომთა ციკლი ეხება ავტომატური მართვის თეორიის კუთხის, რომელიც წარმოდგენილი იქნება ცალკეული წიგნების სახით. წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია ავტომატური მართვის სისტემების აგების პრინციპები და მისი თვისებრივი ანალიზის მეთოდები. მოცემულია ძირითადი ცნებები, პრობლემათა დასმა და მათი გადაწყვეტა ავტომატური მართვის თეორიის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ამ მეთოდებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მართვადობისა და დაკორექტებლობის პრინციპებს, მდგომარეობის სივრცის ანალიზსა და სისტემების მოდელის, მართვის, ლინამიკური სისტემების მდგომარეობის შესწავლის თანამედროვე მათემატიკური მოდელები "შემაჯალი გამაყალი" და "შემაჯალი - მდგომარეობა - გამაყალი" გამოთვლითი ტექნიკის სრული გამოყენებით. საშუალებას გვაძლევს არამართო დაეპირეპტით ავტომატური მართვის სისტემები, არამედ მოვადინოთ მართვის ალგორითმების პრაქტიკული რეალიზაცია.

მასალის გადმოცემა ხდება ევრისტიკულად, მკითხველის აქტიური მონაწილეობით და აუცილებელი მათემატიკური აპარატის გამოყენებით. სადაც ეს საჭირო იყო, კომპრომისების გარეშე გამოვიყენეთ მკაცრი მათემატიკური ფორმულირება. თუმცა ავტორები შეეცადნენ აქცენტი გაეკეთებინათ ფორმალურ მათემატიკურ მოდელებსა და პრაქტიკულ რეალიზაციას შორის.

წიგნი დამყარებულია ავტორების პირად პედაგოგიურ და კვლევით გამოცდილებაზე, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და დუკის უნივერსიტეტის (აშშ) ტრადიციებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ავტორთა ერთი ნაწილის მასწავლებლების, - გამოჩენილი ქართველი მეცნიერებისა და პედაგოგების ნ.ვ.გაბაშვილის, კ.ბ.ბარამიძის, გ.კ.ტყეშელაშვილის, ა.ე.კერესელიძისა და შ.დ.გარსიაშვილის ღვაწლი ამ ტრადიციების ჩამოყალიბებაში.

ავტორები მადლიერები არიან ყველა იმ პირებისა, რომლებმაც ხელი შეუწვეს წიგნის მომზადებას. პირველ რიგში აღვნიშნავთ კოლეგებს სტუ-ს ავტომატიკისა და ტელემექანიკის კათედრიდან.

განსაკუთრებული აღვნიშნის ლირსი არიან ჩვენი ახალგაზრდა კოლეგები ო.თ.კიკილაშვილი და გ.რ.ჩხაიძე, რომლებმაც დიდი რუდუნებით მოამზადეს და კომპიუტერზე დააკაზმოდნენ წიგნის ტექსტი. მათი დახმარების გარეშე საეტეო იყო ამ სახელმძღვანელოს გამოცემა. ტექსტის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე კათედრის თანამშრომლებმა პ.დ.ჯობაძემ და ა.გ.დათიაშვილმა.

ავტორები დიდ მადლობას უხდებიან წიგნის რეცენზენტებს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებს ვ.კ.ჭიჭინაძეს და მ.ე.სალუქვაძეს ზოგიერთი შენიშვნისათვის, რომელთა გათვალისწინებამ გააუმჯობესა წიგნის შინაარსი.

წიგნი გათვლილია მკითხველთა ფართო წრისათვის: ინჟინრებისათვის, ასპირანტებისათვის, სტუდენტებისათვის, ყველასათვის, ვისაც სურს დაეუფლოს ავტომატური მართვის თანამედროვე თეორიას.

დღიე ხანია იდგა საკითხი ქართულ ენაზე ასეთი ორიგინალური წიგნის არსებობისა; რამდენად შეძლეს ეს ავტორებმა დაე. მკითხველმა განსაჯოს. ტექსტში ალბათ იქნება შეუმჩნეველი უზუსტობანი, შეიძლება სადაც შეცდომაც კი გაიპარა. ავტორები მადლობელი დარჩებიან ყველა მკითხველის მიმართ, რომლებიც არ დაიშურებენ შრომას და გამოგზავნიან თავიანთ შენიშვნებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ა.შ.გუგუშვილი  
თ.გ.იმედაძე  
დ.ფ.გარგი

თბილისი, საქართველოს რესპუბლიკა - დარკემი, ჩრდილოეთ კოროლინა. აშშ.  
1994 წ.

## Preface

This book specifically aims at presenting control system theory, by means of state space approach, in a way which will be subject obvious to students, designers and users alike. It presents an introductory account of state space analysis of control systems and furnishes a background necessary for studying modern control theory. After a brief introduction in Chapter 1, the mathematical model of the first order systems are presented in Chapter 2. Here used to describe an idealized system. Because modern control theory is based on theory of ordinary differential equations, matrices and vectors, a detailed treatment of the vector matrix differential equation is given in Chapter 3. This Chapter gives the time response consideration of control systems.

Chapter 4 presents stability analysis of linear systems and nonlinear systems. The concepts and definitions of controllability and observability are introduced in Chapter 5. Model control and identification are given in Chapter 6. The common example is considered in Chapter 7. The problems of illustrative example are carried out by means of considered techniques.

Most of the material presented in this book has been offered in the author's courses at the senior and post-graduate level in the Department of Control Engineering of Georgian Technical University and Duke University (USA).

The authors have been considerably Stimulated by the texts of Professors N. Gabashvili, K. Baramidze, G. Tkeshelashvili, A. Kereselidze, Sh. Garsiasvili. It is sincerely hoped that this book reflects the spirit of their teaching.

The authors wish to thank Professors V. Tchitchinadze and M. Salucvadze for their reviewing the manuscript and for most helpful comments.

It is a pleasure to acknowledge the assistance of O. Kikilashvili, G. Chkhaidze, P. Jokhadze and A. Datiashvili who expertly and patiently typed the manuscript.

Almaskhan Sh. Gugushvili,  
Theimuraz G. Imedadze,  
Devendra P. Garg,

Tbilisi: Republic of Georgia - Durham, North Carolina, USA.

1994

# 1. ღონისძიების სისტემის გაცემის სისტემა

## 1.1 სისტემის გაცემის სისტემა

მართვის კლასიკური თეორია განიხილავს წრფივ ღონისძიების სისტემებს გადაცემის ფუნქციების, იმპულსური ფუნქციების, ბლოკ-დიაგრამებისა და გრაფიკის თეორიის გამოყენებით. წრფივი სისტემების ამ მეთოდებით დახასიათება დაკავშირებული იყო ღონისძიების სისტემებში არსებული "შემაღლ-გამოშვით" ურთიერთკავშირების არსებობასთან. ე.ი მიზნულ-შედეგობრივი ურთიერთობის შესწავლასთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მეთოდები ძალზე მარტივია და გეგმევენ ეფექტურ შედეგებს, ღონისძიების სისტემების თავისებურებათა შესწავლა მარტო მათზე დაყრდნობით ვერ ამისწერავს ყველა იმ შესაძლებელ შემთხვევაში, რაც ასეთ სისტემებს გააჩნიათ. მაგალითად, გადაცემის ფუნქცია ახასიათებს წრფივი სისტემის მიზნულ-შედეგობრივ დამოკიდებულებას, ლაქასის გარდასახვითა არეში, რომელიც გამოირჩევა სისტემის წარსული და აწმყო მდგომარეობის გათვალისწინებას. სხვა სიტუაციებში რომ ვთქვათ, მხედველობაში არ ვიღებთ სისტემის საწყის პირობებს და განტოლების ამოხსნის შემთხვევაში ვერ ვითვალისწინებთ სისტემის წარსულ მდგომარეობას. ამიტომ, გადაცემის ფუნქცია სრულად ვერ განსაზღვრავს ღონისძიების სისტემის ყველა საჭირო ინფორმაციას, თუმცა გადაცემის ფუნქციის მეთოდი, თავისი სიმარტივის გამო, ფართოდ გამოიყენება მართვის სისტემების ანალიზისა და სინთეზის განხორციელებაში, მდგომარეობისა და თვისებების დამოკიდებულების საქმეში. მაგრამ ჩვენი მიზანია არა ნაწილობრივი ინფორმაციის მიღება ღონისძიების სისტემის დახასიათების დროს, არამედ შეძლებისდაგვარად სრული ინფორმაციის წარმოდგენა, რასაც გარკვეულწილად გვაძლევს მდგომარეობის სივრცის მეთოდი მდგომარეობის პარამეტრებზე დაყრდნობით.

მდგომარეობის სივრცე ეწოდება ისეთ მეტრიკულ სივრცეს, რომლის თვითოეული ელემენტი სრულად განსაზღვრავს სისტემის მდგომარეობას (მეტრიკულ სივრცეზე ცოტა მოგვიხსენიება, გვეყენება სახეობა). ეს მეთოდი შეგვიძლია გამოვიყენოთ არა მარტო წრფივი სისტემების დახასიათებად (როგორც, მაგალითად, ჯამბიკის ფუნქციის გამოყენების შემთხვევაში), არამედ არაწრფივი და არასტაციონალური ღონისძიების სისტემების გამოსავლენადაც. და კიდევ ერთი, რომ თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკა გვიადვილებს ამ მეთოდით სისტემის ღონისძიების თვისებების შემცენებას, მითუმეტეს, თუ საქმე ეხება მაღალი რიგის სისტემებს.

მდგომარეობის სივრცის მეთოდი (რომლისაც აგრეთვე, მდგომარეობის პარამეტრების მეთოდს უწოდებენ) ხშირად მიაკუთვნებენ მართვის სისტემების გამოკვლევის თანამედროვე ხეობას. თუმცა, როგორც ცნობილია, მდგომარეობის განტოლებანი წარმოადგენენ პირველი რიგის ჩვეულებრივ დიფერენციალურ განტოლებებს, რომლებიც დიდი ხანია გამოიყენება მათემატიკისა და ფიზიკის მიერ ღონისძიების სისტემების დახასიათებად. მდგომარეობის პარამეტრების მეთოდზე გადასვლაზე საჭიროა ვერ განსაზღვროთ, თუ რა არის სისტემის "მდგომარეობა". როგორც თვით სიტყვა "მდგომარეობა" გვიჩვენებს, ნებისმიერ ობიექტის სრული წარმოდგენა დაკავშირებულია მის წარსულ მდგომარეობასთან, მის აწმყოსა და მომავალზე, ანუ მდგომარეობაზე. საინტერესო მაგალითი, წარმოადგენს სახელმწიფოს მდგომარეობა ყოველ წელს. ამ შემთხვევაში სრული სისტემა მოიცავს მმართველობას, პოლიტიკას, საზოგადოებას, ეკონომიკას და სხვა ელემენტებს, რომლებთანაც განისაზღვრება სახელმწიფოს მდგომარეობა წარსულში, აწმყოში და მომავალში. ზოგადად, სისტემის მდგომარეობა შეიძლება აღწერილი იქნას რაღაც რიგებში, მრუდეებით, განტოლებებით ან სხვა მონაცემებით, რომლებიც თავისი ბუნებით შეიძლება წარმოადგენდნენ რაღაც აბსტრაქტულ სიდიდებს.

მათემატიკური თვალსაზრისით სისტემის ღონისძიების თვისებების ფორმალიზაციის მიზნით, მიზანშეწონილია ღონისძიების სისტემა განისაზღვროს მდგომარეობის პარამეტრებისა და მდგომარეობის განტოლებათა სისტემით. სისტემის მდგომარეობასა და მდგომარეობის პარამეტრებს შორის არსებობს გარკვეული დამოკიდებულება. მდგომარეობის პარამეტრების არჩევის განსაზღვრავს ჩვენს წინაშე დასმული ამოცანა. მაგალითად, თუ გვინტერესებს ელექტროლოგიკური ენერგიის წყაროს მართვის საკითხები (ელექტროსადგურის), მიზანშეწონილია ასეთ პარამეტრებად ავირჩიოთ ტემპერატურა, წნევა, სიქარე, ძაბვა და ა.შ. თუ იგივე ელექტროსადგურს განვიხილავთ გარეშის გატეხილობის თვალსაზრისით, მაშინ მდგომარეობის პარამეტრები სულ სხვა იქნება, ხოლო თუ განვიხილავთ ამ სისტემას ეკონომიკური ოპტიმიზაციის თვალსაზრისით, მივიღებთ მდგომარეობის განსაზღვრულ სურათს. არაკლასიკური დამოკიდებულებების ადგილი აქვს არამატრიკული და

იგივე ობიექტის სხვადასხვა ამოცანაში განხილვის დროს, არამედ ამ ობიექტის ერთი და იგივე სახის ამოცანის გადაწყვეტის დროს. აქ ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინჟინერ-ავტომატიკოსის ინტუიციას. რომელიც გაითვალისწინებს ყველა შესაძლო პარამეტრებს და მათგან ამოარჩევს არსებული სიტუაციის შესაბამის მთავარ პარამეტრებს.

## 2. პირველი რიგის სისტემები

მრავალი ფიზიკური სისტემა აღწერება პირველი რიგის დიფერენციალური განტოლებების საშუალებით

$$\dot{X}(t) = f(X(t), U(t), t) \quad (2.1)$$

და ფუნქციონალური თანადარდობებით (ალგებრული განტოლებებით)

$$y(t) = g(X(t), U(t), t), \quad (2.2)$$

სადაც  $t$ -დროა,  $U(t)$ -შემაველი ცვლადებია,  $Y(t)$ -გამომავალი ცვლადებია,  $X(t)$ -მდგომარეობის ცვლადებია.

სისტემები, რომლებიც აღიწერებიან (2.1) და (2.2) განტოლებებით, წარმოადგენენ პირველი რიგის სისტემებს. ისინი მნიშვნელოვანია არა მარტო თავისთავად, არამედ იმიტომ, რომ მათი საშუალებით შეიძლება შევადგათ უფრო რთული სისტემები.

### მაგალითი 2.1

განვიხილოთ  $m$  მასის მქონე წერტილოვანი სხეულის ვარდნა წინააღმდეგობიან ზღანტ გარემოში (ნახ.1), რომელიც პროპორციულია  $X(t)$  სიჩქარისა. სხეულზე მოქმედებს ორი გარეშე ძალა: მიზიდულობის ძალა  $mg$  და გარემოს წინააღმდეგობების ძალა  $-KX(t)$ . თუ აღვნიშნავთ  $d$  მანძილს სხეულიდან რომელიმე მოცემულ მდებარეობამდე, მაშინ მოძრაობის განტოლება მიიღებს სახეს:


$$m\ddot{d}(t) = mg - K\dot{d}(t). \quad (2.3)$$

უნიდან  $X(t)$  სიჩქარე არის

$$\dot{X}(t) = \dot{d}(t), \quad (2.4)$$

მივიღებთ პირველი რიგის დიფერენციალურ განტოლებას:

$$\dot{X}(t) = -(K/m)X(t) + g. \quad (2.5)$$




ნახ.1.

### მაგალითი 2.2

განვიხილოთ ნახ.2-ზე მოცემული RLC წრედი. თუ გამოვიყენებთ კირჰოფის კანონს, შეგვიძლია დავწეროთ ამ წრედის განტოლება:

$$e(t) = Ri(t) + L di(t)/dt + (1/c) \int i(t) dt. \quad (2.6)$$



ნახ.2

შევნიშნოთ, რომ ეს განტოლება არ არის ჩაწერილი მდგომარეობის განტოლების სახით, რადგანაც უკანასკნელი წევრი არის ინტეგრალი დროის მიხედვით. ამ განტოლებიდან მდგომარეობის განტოლების მიღების ერთი ხერხი მდგომარეობის შემდეგში. შევარჩიოთ მდგომარეობის ცვლადები ასე:

$$x_1(t) = i(t), \quad (2.7)$$

$$x_2(t) = \int i(t) dt. \quad (2.8)$$

თუ (2.6) განტოლებაში შევსტანთ (2.7) და (2.8) აღნიშვნებს, მივიღებთ:

$$e(t) = R x_1(t) + L dx_1(t)/dt + (1/C) x_2(t). \quad (2.9)$$

მოვახდინოთ (2.9) განტოლების წვერების გადაადგილება და (2.8) განტოლების გაწარმოება - მივიღებთ მდგომარეობის ორ განტოლებას:

$$dx_1(t)/dt = -(R/L)x_1(t) - (1/LC)x_2(t) + (1/L)e(t), \quad (2.10)$$

$$dx_2(t)/dt = x_1(t), \quad (2.11)$$

რომლებიც წარმოადგენენ პირველი რიგის დიფერენციალურ განტოლებებს.

ჩვენ ვაჩვენოთ, თუ RLC წრედის მდგომარეობის განტოლება როგორ შეიძლება მივიღოთ მდგომარეობის ცვლადების სპეციფიკური გზით განსაზღვრის შემთხვევაში. ალტერნატიული გზა მდგომარეობის შემდეგში: განვიხილოთ ზემოთ მოცემული წრედი და განსაზღვროთ წრედის ელემენტების საშუალებით მდგომარეობის ცვლადები. მდგომარეობის ცვლადებად შეგვიძლია შევარჩიოთ დენი. ინდუქციურობა და ძაბვა ტევადობაში. ამ განმარტების თანახმად, RLC წრედში მდგომარეობის პარამეტრები შეგვიცა ია ჩაეწეროთ ასე:

$$x_1(t) = i(t), \quad (2.12)$$

$$x_2(t) = e(t). \quad (2.13)$$

ვიცით რა, რომ მდგომარეობის განტოლების მარცხენა მხარე უნდა შეიცავდეს  $x_1(t)$  და  $x_2(t)$  ცვლადების პირველი რიგის წარმომებულებს, შეგვიძლია უშუალოდ შევადგინოთ შემდეგი სახის განტოლებანი:

ძაბვა L ინდუქტიუობაზე:

$$L(di(t)/dt) = -Ri(t) - e(t) + e(t). \quad (2.14)$$

დენი C ტევადობაზე:

$$C(de(t)/dt) = i(t). \quad (2.15)$$

გამოვიყენოთ (2.12) და (2.13) აღნიშვნები მიღებულ ბოლო ორ განტოლებაში და თანაც გავყოთ L-ზე და C-ზე. მივიღებთ:

$$dx_1(t)/dt = -(R/L)x_1(t) - (1/L)x_2(t) + (1/L)e(t), \quad (2.16)$$

$$dx_2(t)/dt = (1/C)x_1(t). \quad (2.17)$$

მიღებულ განტოლებანი წარმოადგენენ RLC წრედის მდგომარეობის ალტერნატიულ განტოლებებს. მდგომარეობის განტოლების მიღების ამ ორი ხერხიდან განსხვავება არის მხოლოდ მდგომარეობის მერვე ცვლადის განსაზღვრაში ე.ი.  $x_2(t)$ -ს განსაზღვრაში.

## 2.1 სისტემის მდგომარეობა და მისი თვისებები

სისტემის მდგომარეობა  $t_0$  მომენტში არის სისტემის ყოფაქცევის შესახებ ისეთი ცნობების ერთობლიობა, რომელიც ნებისმიერ შესაძლო შემავალ სიდიდესთან ერთად, მოცემულ  $t_0 \leq t \leq t_1$  მონაკვეთში, საკმარისია გამოშავალი სიგნალის ცალსახად განსაზღვრისათვის  $t_0 \leq t \leq t_1$  მომენტში. ნებისმიერი  $t_1 \geq t_0$ .

მდგომარეობის დინამიკის სტანდარტული განტოლებებია:

$$\dot{x}(t) = f(x(t), u(t), t), \quad (2.18)$$

$$y(t) = g(x(t), u(t), t). \quad (2.19)$$

(2.18) განტოლებას უწოდებენ მდგომარეობის დიფერენციალურ განტოლებას, (2.19) განტოლებას უწოდებენ შემავალი - მდგომარეობა - გამოშავალი ტიპის განტოლებას.

განვიხილოთ პრაქტიკულ ანალიზში ძალიან მნიშვნელოვანი სამი სახის მდგომარეობა: ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.

ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა. ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.

წინასწარ განვიხილოთ ნულოვანი მდგომარეობა. ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.

წინასწარ განვიხილოთ ნულოვანი მდგომარეობა. ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.

წინასწარ განვიხილოთ ნულოვანი მდგომარეობა. ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.

წინასწარ განვიხილოთ ნულოვანი მდგომარეობა. ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.

წინასწარ განვიხილოთ ნულოვანი მდგომარეობა. ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.

წინასწარ განვიხილოთ ნულოვანი მდგომარეობა. ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.


წინასწარ განვიხილოთ ნულოვანი მდგომარეობა. ნულოვანი მდგომარეობა, დამყარებული მდგომარეობა, წონასწორული მდგომარეობა.

### მაგალითი 2.3

მდგომარეობის ამ სამი ტიპის ილუსტრირება შეიძლება მოვახდინოთ ბურთულას მაგალითზე. რომელიც მათემატიკურ სივრცეში (ნ. 3), დავუშვათ, რომ მათემატიკური სივრცის სივრცის დროს წარმოიშობა ხახუნის ძალა, რომელიც მოქმედებს ბურთულაზე და ხელს უშლის მის მოძრაობას. იგულისხმება, რომ სიმძიმის ძალა მუდმივია. ბურთულას სიჩქარე პროპორციულია ჯამური ძალის იმ კომპონენტისა, რომელიც მოქმედებს ბურთულაზე მათემატიკური სივრცის გასწვრივ:

$$ds/dt = \mu t.$$

სისტემის მათემატიკური აღწერისათვის დავუშვათ, რომ ბურთულაზე მოქმედი ძალა (რომელიც შეიცავს სიმძიმის ძალას) წარმოადგენს შემავალ ცვლადს, ბურთულას სიჩქარე მათემატიკური სივრცის გამოშავალი ცვლადია და ბურთულას მდგომარეობა (მანძილი  $S$  მათემატიკური სივრცის მარცხენა ბოლოდან) არის სისტემის მდგომარეობა. წინასწორული მდგომარეობა მოცემულია (ნახ. 3). ამ სისტემას არა აქვს დამყარებული მდგომარეობა. ანალიზური სისტემა დამყარებული მდგომარეობით მოცემულია ნახ. 4. უნდა აღინიშნოს, წინასწორული და ნულოვანი მდგომარეობები არ იქნებოდნენ თანხვედრით, თუ გამოშავალ ცვლადად მივიჩნევდით სიმაღლეს რომელიმე დონის მიმართ. ამ შემთხვევაში იარსებებდა მხოლოდ სკალარული მდგომარეობა, განსაზღვრული ამორჩეული ნულოვანი დონით, იგი თანხვედრადი სიმაღლის ერთ-ერთი წინასწორული მდგომარეობისა. დანარჩენი წინასწორული მდგომარეობები არ არიან ნულოვანი მდგომარეობები (თუ დონეები არ თანხვედნიან).



ნახ. 3. წონასწორული მდგომარეობა და ნულოვანი მდგომარეობა.  
ნახ. 4 დამყარებული მდგომარეობა

## 2.2 სისტემის წარმოშობა ან სტატისტიკა

სისტემების წარმოშობა წარმოადგენს და მათ, შესწავლა, წრფივ თეორიაზე დაყრდნობით ჩვეულებრივად ხდება ორი მიზნის გამო:

1. მრავალი სისტემის მახასიათებელი არის წრფივი პარამეტრების ცვლილების განსაზღვრულ უბნებში.

2. წრფივი სისტემების მათემატიკური შესწავლა არის მარტივი, იმ დროს, როდესაც ზოგადი სისტემების შესწავლა არ ხერხდება. განსაზღვრა "წრფივობა" ნიშნავს გარკვეული პროპორციულობის არსებობას შემავალ და გამოშვალ ცვლადებს შორის. თუ სისტემის შემავალი ცვლადი არის ნულოვანი და სისტემის რეაქცია განსხვავდება ნულოვანისაგან, ცხადია, რომ ეს რეაქცია ერთადერთი შესაძლო რეაქციაა მოცემული საწყისი მდგომარეობისათვის. მას ეწოდება რეაქცია ნულოვან შემავალ ზემოქმედებაზე. აღვნიშნოთ, რომ თუ სისტემის მუშაობის დასაწყისი თანხვედრა ნულოვან მდგომარეობას, მაშინ რეაქცია ნულოვან შემავალ ზემოქმედებაზე უნდა იყოს ნულოვანი. ანალოგიურად განსაზღვრეთ რეაქციის ნულოვან მდგომარეობაზე, როგორც სისტემის რეაქციის ნებისმიერ შემავალ მდგომარეობაზე ნულოვანი საწყისი მდგომარეობისას.

### წარმოშობა ნულოვანი მდგომარეობის მიმართ

სისტემას ეწოდება წრფივი ნულოვანი მდგომარეობის მიმართ, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ ორ პირობას:

1. ერთგვაროვნობა. თუ ნებისმიერი  $x$  შემავალი ზემოქმედებისას  $y$  არის რეაქცია ნულოვან მდგომარეობაზე, მაშინ  $Cx$  შემავალი ზემოქმედებისას  $Cy$  არის რეაქცია ნულოვან მდგომარეობაზე,  $C$  ნებისმიერი მუდმივია.

2. ადტიურობა. თუ ნებისმიერი  $x_1$  შემავალი ზემოქმედებისას  $y_1$  არის სისტემის რეაქცია ნულოვან მდგომარეობაზე, ხოლო ნებისმიერი  $x_2$  შემავალი ზემოქმედებისას  $y_2$  არის რეაქცია ნულოვან მდგომარეობაზე, მაშინ შემავალი  $x_1 + x_2$  ზემოქმედებისას  $y_1 + y_2$  არის სისტემის რეაქცია ნულოვან მდგომარეობაზე.

## წრფივობა ნულოვანი შემაჯავლი ზემოქმედებებს მიმართ

სისტემის ეწოდება წრფივი ნულოვანი შემაჯავლი ზემოქმედების მიმართ, თუ სრულდება შემდეგი ორი პირობა:

1. ერთგვაროვნობა. თუ სისტემის რეაქცია ნულოვან შემაჯავლ ზემოქმედებაზე, ნებისმიერ საწყის  $x_0$  მდგომარეობაზე, არის  $y_0$ , მაშინ სისტემის რეაქცია ნულოვან შემაჯავლ ზემოქმედებაზე, ნებისმიერ საწყის  $Cx_0$  მდგომარეობაზე, არის  $Cy_0$ .

2. ადითიურობა. თუ  $y_1$  არის რეაქცია ნულოვან შემაჯავლ ზემოქმედებაზე, ნებისმიერი საწყისი  $x_1$  მდგომარეობისას, ხოლო  $y_2$  არის რეაქცია ნულოვან შემაჯავლ ზემოქმედებაზე, ნებისმიერი საწყისი  $x_2$  მდგომარეობისას, მაშინ  $y_1 + y_2$  არის რეაქცია ნულოვან შემაჯავლ ზემოქმედებაზე  $x_1 + x_2$  საწყისი მდგომარეობის დროს. საილუსტრაციოთ მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითები:

### მაგალითი 2.4

განვიხილოთ სისტემა, რომლისთვისაც რეაქცია ნულოვან შესასვლელზე მოცემულია გამოსახულებით:

$$Y(t) = \int_{t_0}^t e^{-(t-\tau)} u(\tau) d\tau, \quad t \geq t_0,$$

სადაც  $u(t)$  არის ნამდვილი ცვლადი, ფუნქცია. ეს სისტემა არის ერთგვაროვანი. თუ სისტემის რეაქცია  $u$ -ზე არის  $y$ , მაშინ რეაქცია  $Cu$ -ზე არის  $Cy$  ნებისმიერი  $C$  მუდმივასათვის და ნებისმიერი  $u$  შემაჯავლი ცვლადისათვის. ეს სისტემა არის აგრეთვე ადითიური. თუ სისტემის რეაქცია  $u_1$ -ზე არის  $y_1$ , ხოლო რეაქცია  $u_2$ -ზე არის  $y_2$ , მაშინ რეაქცია  $u_1 + u_2$  შემაჯავლ სიგნალზე არის  $y_1 + y_2$ , ე.ი. სისტემა არის წრფივი ნულოვანი მდგომარეობის მიმართ.

### მაგალითი 2.5

განვიხილოთ სისტემა, რომლის რეაქცია ნულოვან მდგომარეობაზე არის:

$$y(t) = [u(t)]^2.$$

ეს სისტემა არაერთგვაროვანია. ვინაიდან, თუ  $y$  არის სისტემის რეაქცია  $u$ -ზე, მაშინ სისტემის რეაქცია  $Cy$ -ზე იქნება  $C^2y$ . სისტემა არის აგრეთვე არაადითიური: თუ სისტემის რეაქცია  $u_1$ -ზე არის  $y_1$  და  $u_2$ -ზე  $y_2$ , მაშინ სისტემის რეაქცია  $(u_1 + u_2)$ -ზე არ არის  $y_1 + y_2$ .

### მაგალითი 2.6

განვიხილოთ სისტემა, რომლისთვისაც რეაქცია ნულოვან შემაჯავლ ზემოქმედებაზე მოცემულია შემდეგი გამოსახულებით:

$$y(t) = e^{-(t-t_0)} x(t_0).$$

ადვილად გასარკვევია, რომ ეს სისტემა ერთგვაროვანია და ადითიურია ნულოვანი შემაჯავლი ზემოქმედებისას. მაშასადამე, ის წრფივია ნულოვანი შემაჯავლი ზემოქმედების მიმართ. თუ განვიხილავთ RC წრედს (ნახ.5), რომლის დიფერენციალური განტოლების ამონახსნი არის:

$$y(t) = \exp[-(1/RC)(t-t_0)] x(t_0) + \int_{t_0}^t \exp[-(1/RC)(t-\tau)] u(\tau) d\tau,$$

სადაც  $y(t)$  გამომაჯავლი სიდიდეა,  $X(t)$ -ძაბვაა კონდენსატორზე, ადვილი მისახვედრია,

რომ ამონახსნი წარმოადგენს წრფივ ფუნქციას ნულოვანი მდგომარეობისა და ნულოვანი შემავალი სიდიდის მიმართ.

## დეკომპოზიციის თვისება

სისტემას ახასიათებს დეკომპოზიციის თვისება, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: თუ  $y_0$  არის სისტემის რეაქტია ნულოვან შემავალ სიდიდეზე ნებისმიერი საწყისი მდგომარეობისათვის და  $y_u$  - რეაქტია ნულოვან შემავალზე ნებისმიერი საწყისი ზემოქმედებისას, მაშინ ჯამური რეაქტია იმავე საწყის მდგომარეობასა და შემავალ ზემოქმედებაზე არის  $y_0 + y_u$ .

## წრფივობა


სისტემას ეწოდება წრფივი, თუ ის არის წრფივი ნულოვანი მდგომარეობის მიმართ. აგრეთვე, წრფივია ნულოვანი შემავალი ზემოქმედების მიმართ და აკმაყოფილებს დეკომპოზიციის პირობას.

## სტასიონარურობა

სისტემას ეწოდება სტაციონალური, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: თუ  $y(t)$  არის სისტემის რეაქტია ნებისმიერ შემავალ  $u(t)$  სიგნალზე დროის  $t_0$  მომენტში, ნებისმიერ საწყის  $X_0$  მდგომარეობისას, მაშინ  $y_h(t)$  არის რეაქტია შემავალ  $u_h(t)$  ზემოქმედებაზე საწყისი  $X_0$  მდგომარეობისას დროის  $t_0$  მომენტში.

## მაბატლითი 2.7

განვიხილოთ RC წრედი, რომელიც მოცემულია ნახ.5-ზე.



ნახ.5

თუ კონდენსატორზე ძაბვას ჩავთვლით გამომავალ სიგნალად, მაშინ შემავალი-მდგომარეობა-გამომავალ თანაფარდობას  $t_0$  საწყისი მომენტისა და შემავალი  $u(t)$  ზემოქმედებისათვის აქვს სახე:

$$y(t) = \exp[-(1/RC)(t-t_0)] x(t_0) + \int_{t_0}^t \exp[-(1/RC)(t-\tau)] u(\tau) d\tau.$$

მოცემული სისტემის რეაქტია შემავალ  $u_h(t)$ -ზე,  $t_1$  საწყის მომენტში, შემდეგი სახისაა:

$$y(t) = \exp[-(1/RC)(t-t_1)] x(t_1) + \int_{t_1}^t \exp[-(1/RC)(t-\tau)] u_h(\tau) d\tau.$$

ვინაიდან  $u_h(t) = u(t-\tau)$ , ცვლადების გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ:

$$y(t) = \exp[-(1/RC)(t-t_1)] x(t_1) + \int_{t_1-h}^{t-h} \exp[-(1/RC)(t-h-\sigma)] u(\sigma) d\sigma.$$

სტაციონალურობის შემოწმებისათვის დაეშვათ, რომ  $t_1 = t_0 + h$  და  $x(t_1) = x(t_0)$ , მაშინ

$$y(t) = \exp[-(1/RC)(t-h-t_0)] x(t_0) + \int_{t_0}^{t-h} \exp[-(1/RC)(t-h-\sigma)] u(\sigma) d\sigma = y(t-h) = y_h(t)$$

ე.ი. მოცემული სისტემა სტაციონალური და წრფივია.

განვიხილოთ სტაციონალურობის ორი ძირითადი სახე:

**სტაციონალურობა ნულზეანი მდგომარეობის მიმართ**

სისტემას ეწოდება სტაციონალური ნულოვანი მდგომარეობის მიმართ, თუ ის სტაციონალურია, როდესაც მისი საწყისი მდგომარეობა არის ნულოვანი.

**სტაციონალურობა ნულზეანი შემავალი ზემოქმედების მიმართ**

სისტემას ეწოდება სტაციონალური ნულოვანი შემავალი ზემოქმედების მიმართ, თუ ის სტაციონალურია ნულოვანი შემავალი სიგნალის მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ სტაციონალური სისტემა არის ერთდროულად სტაციონალური ნულოვანი მდგომარეობისა და სტაციონალური ნულოვანი შემავალი სიგნალის მიმართ. უკუ მსჯელობა არასამართლიანია. სისტემის წრფივობა და სტაციონალურობა არის დამოუკიდებელი თვისებები. ეს კარგად ჩანს შემდეგი მაგალითიდან.


## მაგალიტი 2.8

განვიხილოთ დაცოვნების იდეალური ელემენტი (ნახ.6), რომელიც აღიწერება შემდეგი თანადროლობით:

$$y(t) = u(t-\tau), \quad \tau \geq 0.$$

წრფივობის შესაწმენდლად დაეშვათ, რომ  $y_0(t)$  არის რეაქცია შემავალ  $u_0(t)$  ზემოქმედებაზე ნულოვანი საწყისი მდგომარეობისას

$$y_0(t) = u_0(t-\tau)$$



ნახ.6

გამოშვებული სიგნალი  $y_b(t)$  არის რეაქცია შემავალ  $u_b(t)$ -ზე ნულოვანი საწყისი მდგომარეობისას, ე.ი.

$$y_b(t) = u_b(t-\tau).$$

დაეშვათ შემავალ ზემოქმედებას აქვს სახე

$$u_{ab}(t) = \alpha u_a(t) + \beta u_b(t),$$

სადაც  $\alpha$  და  $\beta$  მუდმივებია. სისტემის რეაქცია ნულოვან საწყის მდგომარეობისას არის

$$y_{ab}(t) = u_{ab}(t-\tau) = \alpha u_a(t-\tau) + \beta u_b(t-\tau) = \alpha y_a(t) + \beta y_b(t).$$

მაშასადამე, სისტემა არის წრფივი ნულოვანი საწყისი მდგომარეობისას. მოვახდინოთ სისტემის სტაციონალურობის შემოწმება ნულოვანი საწყისი მდგომარეობისას, როდესაც შემავალ ზემოქმედებას აქვს სახე:

$$u_h(t) = u(t-h),$$

მაშინ გამოიყენო სიგნალი იქნება:

$$y(t) = u_h(t-\tau) = u((t-\tau)-h).$$

უნაიდან

$$y_h(t) = y(t-h) = u(t-\tau-h),$$

მაშინ

$$y(t) = y_h(t).$$

მაშასადამე, დაყოვნების იდეალური ელემენტი არის სტაციონალური ნულოვანი საწყისი მდგომარეობისას. ე.ი. დაყოვნების იდეალური ელემენტი არის წრფივი და სტაციონალური ნულოვანი საწყისი მდგომარეობისას.

## 2.3 პირველი რიგის სისტემების მათემატიკური თვისებები

განვიხილოთ პირველი რიგის სისტემების დინამიკის აღმწერი განტოლებები:

$$\dot{x}(t) = a(t)x(t) + b(t)u(t), \quad (2.20)$$

$$y(t) = c(t)x(t) + d(t)u(t). \quad (2.21)$$

ჯერ ვიპოვოთ (2.20) განტოლების ამონახსნი. როგორც ცნობილია, (2.20) განტოლების ამონახსნი შედგება ორი შესაკრებლისაგან: ერთგვაროვანი და კერძო ამონახსნისაგან. ერთგვაროვანი განტოლება ამოიხსნება შემდეგნაირად: (2.20)-დან ელემენტარულად, რომ

$$dx(t)/dt = a(t)x(t). \quad (2.22)$$

(მიღებულია მხედველობაში, რომ შემაჯავლი ზემოქმედება ნულოვანია).

გამოვიყენოთ ცვლადების ტანცალკაების მეთოდი. (2.22) განტოლება გარდაქმნათ შემდეგნაირად:

$$d \ln [x(t)/x(\tau)] = a(t) dt. \quad (2.23)$$

მოვახსნიოთ (2.23) ინტეგრირება  $\tau$ -დან  $t$ -მდე.

$$\ln [x(t)/x(\tau)] = \int_{\tau}^t a(\xi) d\xi,$$

ან

$$x(t) = \exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right] x(\tau),$$

ან

$$x(t) = \exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right] x(t_0), \quad (2.24)$$

$x(t_0)$  საწყისი მნიშვნელობაა  $t_0$  მომენტში.

ვინაიდან პირობა  $\exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right]$  აღწერს სისტემის მოძრაობას  $t$  და  $\tau$  მომენტებს

შორის ნულოვანი აღშფოთებისას, გამოსახულებას

$$\phi(t, \tau) = \exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right] = x(t)x^{-1}(\tau)$$

უწოდებენ მდგომარეობის გარდამავალ ფუნქციას. ის ხასიათდება შემდეგი ორი თვისებით:

$$\phi(t, \tau) = 1,$$

$$\partial \phi(t, \tau) / \partial t = a(t) \phi(t, \tau).$$

პირველი რიგის სისტემებისათვის მიღებული მდგომარეობის გარდამავალი ფუნქცია შეიძლება განზოგადებული იყოს მაღალი რიგის სისტემებისათვის. ახლა განვიხილოთ (2.20) განტოლების კერძო ამონახსნი. დაეუყვას. რომ  $\lambda(t)$  არის (2.20) განტოლების ერთგვაროვანი ამონახსნი, ასე რომ

$$\begin{aligned}\dot{\lambda}(t) &= a(t)\lambda(t), \\ \lambda(t_0) &= \lambda_0.\end{aligned}\quad (2.25)$$

აეილოთ შემდეგი სახის კერძო ამონახსნი

$$x(t) = \lambda(t) \eta(t), \quad (2.26)$$

სადაც  $\eta(t)$ -დროის ნებისმიერი ფუნქციაა.  $\lambda(t)$ -ერთგვაროვანი განტოლების არატრივიალური (არანულოვანი) ამონახსნია. ძვეტანოთ (2.26) გამოსახულება (2.20) განტოლებაში, მივიღებთ:

$$\lambda(t) \eta(t) = b(t)u(t), \quad (2.27)$$

ან

$$\eta(t) = \lambda^{-1}(t)b(t)u(t). \quad (2.28)$$

$\lambda^{-1}(t)$ - ფუნქცია არსებობს დროის ყველა სასრულო მნიშვნელობათვის, ვინაიდან  $\lambda(t)$  არატრივიალური ამონახსნია. თუ გაიხდენთ (2.28) განტოლების ინტეგრირებას და მიღებულ შედეგს გავამრავლებთ  $\lambda(t)$ -ზე, მაშინ მივიღებთ:

$$x(t) = \lambda(t) \eta(t) = \int_{t_0}^t \lambda(t) \lambda^{-1}(\tau) b(\tau) u(\tau) d\tau.$$

(აღვნიშნოთ, რომ  $(t_0)=0$ ). ვინაიდან

$$\lambda(t) = \exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right] \lambda(\tau), \quad (2.29)$$

კერძო ამონახსნი მიიღებს სახეს:

$$x(t) = \int_{\tau}^t \exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right] b(\tau) u(\tau) d\tau \quad (2.30)$$

საერთო ამონახსნი, (2.29) და (2.30) გათვალისწინებით, მიიღებს შემდეგ სახეს:

$$x(t) = \exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right] x(t_0) + \int_{\tau}^t \exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right] b(\tau) u(\tau) d\tau \quad (2.31)$$

ე.ი. თანაფარდობა შემავალი-მდგომარეობა-გამომავალი პირველი რიგის სისტემებისათვის ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\begin{aligned}y(t) = c(t) \exp \left[ \int_{t_0}^t a(\xi) d\xi \right] x(t_0) + \int_{t_0}^t c(t) \exp \left[ \int_{\tau}^t a(\xi) d\xi \right] b(\tau) u(\tau) d\tau + \\ + d(t) u(t).\end{aligned}\quad (2.32)$$

თუ დავუშვებთ, რომ პირველი რიგის სისტემა არის სტაციონალური, მაშინ განტოლებები (2.20) და (2.21) მიიღებენ სახეს:

$$\begin{aligned}x(t) &= ax(t) + bu(t), \\ y(t) &= cx(t) + du(t).\end{aligned}\quad (2.33)$$

გამოსახულებები (2.31) და (2.32) სტაციონალურობის გათვალისწინებით მიიღებენ სახეს:

$$x(t) = e^{a(t-t_0)} x(t_0) + \int_{t_0}^t e^{a(t-\tau)} bu(\tau) d\tau, \quad (2.34)$$

$$y(t) = ce^{a(t-t_0)} x(t_0) + \int_{t_0}^t ce^{a(t-\tau)} bu(\tau) d\tau + du(t). \quad (2.35)$$

განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც  $X_0=0$  და  $t_0 \rightarrow \infty$ . მაშინ (2.35)-დან მივიღებთ:

$$y(t) = \int_{-\infty}^t ce^{a(t-\tau)} bu(\tau) d\tau + du(t),$$

$$y(t) = \int_{-\infty}^t \left[ ce^{a(t-\tau)} b + d\delta(t-\tau) \right] u(\tau) d\tau. \quad (2.36)$$

აქ მიღებულია მხედველობაში დირაკის  $\delta(t)$  ფუნქციის ერთი თვისება

$$\int_{-\infty}^{\infty} f(\tau)\delta(t-\tau)d\tau=f(t).$$

აღვნიშნოთ:

$$h(t)=ce^{at}b+d\delta(t). \quad (2.37)$$

$h(t)$  ფუნქციას უწოდებენ სისტემის ზირთეს - წონით აქეციას, ან იმპულსურ რეაქციას. თუ გამოვიყენებთ (2.36) და (2.37) მივიღებთ ჩვეულებრივ ნახვევის ინტეგრალს:

$$y(t) = \int_{-\infty}^t h(t-\tau)u(\tau)d\tau. \quad (2.38)$$

ამ განტოლების ამოხსნა წინამდებარე ნაშრომის შესწავლის საგანს არ წარმოადგენს და განიხილება სპეციალურ კურსში.

### 3. მაღალი რიგის სისტემები

ძირითადად განსახილველი სისტემები ხასიათდება რამდენიმე შემაჯავლი და გამომაჯავლი ცვლადებით. ამიტომ საჭიროა განვაზოგალოთ ის შედეგები, რომლებიც განხილული იყო პირველი რიგის სისტემების შესწავლისას. ამისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ მატრიცების თეორია.

#### 3.1 მატრიცების თეორიის ძირითადი სწავლებები

განვიხილოთ  $n$  უცნობიანი  $m$  წრფივი ალგებრული განტოლებები

$$\begin{aligned} a_{11}x_1 + a_{12}x_2 + \dots + a_{1n}x_n &= y_1, \\ a_{21}x_1 + a_{22}x_2 + \dots + a_{2n}x_n &= y_2, \\ a_{m1}x_1 + a_{m2}x_2 + \dots + a_{mn}x_n &= y_m, \end{aligned} \quad (3.1)$$

სადაც

$y_i (i=1, \dots, m)$  - ნებისმიერი რიცხვია.

$a_{ij} (i=1, 2, \dots, m, j=1, 2, \dots, n)$  - მუდმივი კოეფიციენტები

$x_j (j=1, \dots, n)$  - უცნობებია.

(3.1) განტოლებათა სისტემა შეიძლება ჩაიწეროს მატრიცულ აღნიშვნებში

$$AX = Y, \quad (3.2)$$

სადაც  $A$  არის  $m \times n$  განზომილების რიცხვების სწორკუთხოვანი ცხრილი

$$A = \begin{bmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & \dots & a_{2n} \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ a_{m1} & a_{m2} & \dots & a_{mn} \end{bmatrix}. \quad (3.3)$$

$X$  არის  $n \times 1$  განზომილების მატრიცა

$$X = \begin{bmatrix} x_1 \\ x_2 \\ \vdots \\ x_n \end{bmatrix}. \quad (3.4)$$

$Y$  არის  $m \times 1$  განზომილების მატრიცა

$$Y = \begin{bmatrix} y_1 \\ y_2 \\ \vdots \\ y_m \end{bmatrix}. \quad (3.5)$$

$Y$  მატრიცა არის ნამრავლი  $A$  მატრიცისა  $X$  მატრიცაზე, ელემენტების სწორკუთხოვანი ცხრილი, რომელსაც აქვს  $m$  სტრიქონი და  $n$  სვეტი უწყობის  $m \times n$  განზომილების მატრიცას. თუ  $m=n$ , მაშინ მატრიცას უწოდებენ კვადრატულს.  $m=n$  ოცსვეს უწოდებენ მატრიცის რიგს.

$m \times n$  განზომილების  $A$  მატრიცის და  $m \times r$  განზომილების  $B$  მატრიცის ნამრავლს უწოდებენ  $n \times r$  განზომილების  $C$  მატრიცას, რომლისთვისაც

$$C_{ij} = \sum_{k=1}^m a_{jk} b_{kj} \quad (3.6)$$

ყველა  $i=1,2,\dots,n$ ,  $j=1,2,\dots,r$ .

### მაბეჭდი 3.1

$$A = \begin{bmatrix} 1 & 2 & 3 \\ 4 & 5 & 6 \end{bmatrix}, \quad B = \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 \\ 1 & 2 & 4 \\ 1 & 3 & 9 \end{bmatrix}.$$

$$C=AB = \begin{bmatrix} 1 \times 1 + 2 \times 1 + 3 \times 1 & 1 \times 1 + 2 \times 2 + 3 \times 3 & 1 \times 1 + 2 \times 4 + 3 \times 9 \\ 4 \times 1 + 5 \times 1 + 6 \times 1 & 4 \times 1 + 5 \times 2 + 6 \times 3 & 4 \times 1 + 5 \times 4 + 6 \times 9 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 6 & 14 & 36 \\ 15 & 32 & 78 \end{bmatrix}.$$

ორ  $n \times n$  განზომილების მატრიცას უწოდებენ კომუტატიურს, თუ სრულდება პირობა  $AB=BA$

### მაბეჭდი 3.2

$$A = \begin{bmatrix} 2 & 5 \\ 1 & 3 \end{bmatrix}, \quad B = \begin{bmatrix} -2 & 3 \\ 3 & -5 \end{bmatrix}.$$

$$AB = \begin{bmatrix} 11 & -19 \\ 7 & -12 \end{bmatrix}, \quad BA = \begin{bmatrix} -1 & -1 \\ 1 & 0 \end{bmatrix}.$$

$$AB \neq BA$$

ორი  $A=[a_{ij}]$  და  $B=[b_{ij}]$   $m \times n$  განზომილების სკალარული მატრიცის ჯამი ეწოდება  $m \times n$  განზომილების  $C$  მატრიცას:  $C = A+B$ . სადა  $c_{ij} = a_{ij} + b_{ij}$ ,  $i=1,2,\dots,m$  და  $j=1,2,\dots,n$ .

### მაბეჭდი 3.3

$$\begin{bmatrix} 1 & -2 & 3 \\ 5 & 1 & -3 \end{bmatrix} + \begin{bmatrix} 2 & 3 & 4 \\ 1 & 3 & 5 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 3 & 1 & 7 \\ 6 & 4 & 2 \end{bmatrix}.$$

თუ  $A$ -ს მატრიცის

$$A = \begin{bmatrix} a_{11} & a_{12} & \dots & a_{1n} \\ a_{21} & a_{22} & \dots & a_{2n} \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ a_{m1} & a_{m2} & \dots & a_{mn} \end{bmatrix},$$

მაშინ მატრიცას

$$A' = \begin{bmatrix} a_{11} & a_{21} & \dots & a_{m1} \\ a_{12} & a_{22} & \dots & a_{m2} \\ \vdots & \vdots & \ddots & \vdots \\ a_{1n} & a_{2n} & \dots & a_{mn} \end{bmatrix}.$$

რომელიც მიიღება მატრიცის სტრიქონების სვეტებით შეცვლით, უწოდებენ ტრანსპონირებულს.

## მსაგზავრელები

თუ  $A$  არის  $n$  რიგის კვადრატული მატრიცა, მაშინ  $A$  მატრიცის დეტერმინანტი გამოითვლება ლაპლასის შემდეგი ფორმულით

$$\det(A) = \sum_{j=1}^n a_{ij} \Delta_{ij}, \quad (3.7)$$

ან

$$\det(A) = \sum_{j=1}^n a_{ij} b_{ij} \quad (3.8)$$

ნებისმიერი  $i$ -ათვის.  $\Delta_{ij}$  არის  $a_{ij}$ -ის ალგებრული დამატება. როგორც ვიცით  $a_{ij}$  ელემენტის ალგებრული დამატება გამოითვლება გამოსახულებით

$$\Delta_{ij} = (-1)^{i+j} M_{ij} \quad (3.9)$$

$M_{ij}$  -  $a_{ij}$  ელემენტის მინორია, რომელიც მიიღება  $A$  მატრიცაში სტრიქონის და  $j$ -სვეტის ამოშლით. მაგალითად, პირველი რიგის კვადრატული მატრიცის დეტერმინანტი  $a$ -ს ტოლია. მეორე რიგის კვადრატული მატრიცის დეტერმინანტი აღინიშნება შემდეგნაირად

$$\begin{vmatrix} a_{11} & a_{12} \\ a_{21} & a_{22} \end{vmatrix}, \quad \det(A) = a_{11}a_{22} - a_{12}a_{21}$$

მესამე რიგის კვადრატული მატრიცის დეტერმინანტი აღინიშნება შემდეგნაირად

$$\phi(T, t) B(t) = \psi(T, t).$$

მაშინ, წინა პირობიდან გამომდინარეობს, რომ ნებისმიერი  $N$ -თვის მოიძებნება ისეთი  $T$ , რომ

$$\int_{t_0}^T \max_{i,j} \left( \sum_{l=1}^n \left| \psi_{ij}(T, t') \right| \right) dt' > N \quad (4.34)$$

აქედან გამომდინარეობს, რომ  $\psi$ -ს ერთ-ერთი კომპონენტა მაინც, მაგალითად  $(i, j)$ ,  $T \rightarrow \infty$  მომენტში

$$\int_{t_0}^T \|\psi_{ij}(T, t')\| dt'$$

ხდება ნებისმიერად დიდი. ეს პირობა ცხადია. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვექნებოდა

$$\sup_{T \rightarrow \infty} \int_{t_0}^T \left| \psi_{kl}(T, t') \right| dt' < M < \infty, \text{ ყველა } k, l\text{-თვის}$$

რომელიც  $M$ -თვის, ვინაიდან  $\psi$  აქვს მხოლოდ  $n^2$  კომპონენტი. რაც ეწინააღმდეგება (4.33). ამიტომ (4.33)-დან გამომდინარეობს, რომ  $\psi_{ij}$ -ს ერთ-ერთი კომპონენტის

ნებისმიერი  $k$  დიდი მნიშვნელობისათვის მოიძებნება ისეთი  $T$ , რომ

$$\int_{t_0}^T \left| \psi_{ij}(T, t') \right| dt' > k.$$

ამოვიჩინოთ შემდეგი შეზღუდული შემავალი სიგნალი  $u_{ij}(t)=0$ , ყველა  $t$  და ყველა  $e \neq j$  და  $u_j(t) = Sgn \psi_{ij}(T, t)$ .

(4.30) გამოსახულებიდან ადვილად გამოდის, რომ

$$\|X(T')\|_1 \geq \left| X_1(T') \right| = \int_t^T \left| \psi_{ij}(T', t) \right| dt > k.$$

ამრიგად, ჩვენ მივიღეთ მეთოდი შეზღუდული შემავალი სიგნალის კონსტრუირებისათვის, რომელიც იწვევს გამომავალ სიგნალს, და მისი ნორმა მეტია წინასწარ მოცემულ რიცხვზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, "შშ-შრ" არის არამდგრადი. ეს ეწინააღმდეგება საწყის დაშვებას, რომ (4.30) განტოლების მეორე შესაყრები ხდება ნებისმიერად დიდი. მაშასადამე, "შშ-შრ" მდგრადობიდან გამომდინარეობს უტოლობა (4.29).

#### მაბატლითი 4.1.

სანამ განვიხილავდეთ მაგალითის, შევჩერდეთ რამდენიმე ფაქტზე, რომელიც საჭიროა ამოხსნისათვის.

#### ბეზმან-ბრენვილის ლემა

დავუშვათ, რომ  $v(t)$  და  $w(t)$ - დროის ნამდვილი ფუნქციებია,  $w(t) \geq 0$ .  $C$  არის ნამდვილი მუდმივა. თუ

$$v(t) \leq c + \int_0^t w(\tau) v(\tau) d\tau, \quad (4.35)$$

მაშინ

$$v(t) \leq c \exp \left[ \int_0^t w(\tau) d\tau \right]. \quad (4.36)$$

#### დამტკიცება.

შევიფიქსოთ ორი ფუნქცია  $x(t)$  და  $z(t)$  ისეთები, რომ

$$x(t) \stackrel{\Delta}{=} c + \int_0^t w(\tau) v(\tau) d\tau, \quad (4.37)$$

$$v(t) \stackrel{\Delta}{=} x(t) - z(t). \quad (4.38)$$

( $\Delta$  ნიშნავს "განსაზღვრის თანახმად".)

თუ (4.35) უტოლობა სრულდება, მაშინ  $z(t) \geq 0$ . უფრო მეტიც,  $x(t)$  არის უწყვეტი. გავადიფერენცირთ  $x(t)$  და გამოვიყენოთ (4.38), გვექნება

$$\dot{x}(t) = w(t)x(t) - w(t)z(t). \quad (4.39)$$

მოვახდინოთ (4.39) ინტეგრირება

$$x(t) = x(0) \exp \left[ \int_0^t w(\tau) d\tau \right] - \exp \left[ \int_0^t w(\tau) d\tau \right] \int_0^t z(\tau) w(\tau) \exp \left[ - \int_0^\tau w(u) du \right] d\tau. \quad (4.40)$$

ვინაიდან  $z(t) \geq 0$  და  $w(t) \geq 0$ , მაშინ

$$x(t) \leq x(0) \exp \left[ \int_0^t \omega(\tau) d\tau \right]. \quad (4.41)$$


რეგორე ვიცით,  $x(0)=c$ . მაშინ  $z(t) \geq 0$  და (4.38) განტოლებიდან ეიპოვით

$$v(t) - x(t) - z(t) \leq x(t) = c \exp \left[ \int_0^t \omega(\tau) d\tau \right].$$

ღმა დამტკიცებულია.

თუ განვიხილავთ სისტემას, რომელიც მოცემულია (15) ნახაზზე, მის შესაბამის განტოლებებს ექნებათ სახე

$$\begin{aligned} y(t) &= -e_0(t) + \int_0^t g(t-\tau) u(\tau) d\tau, \\ u(t) &= F[e(t), t], \\ u(t) &= r(t) - y(t). \end{aligned} \quad (4.42)$$



ნახ.15.

#### თეორემა 4.7

განვიხილოთ 15 ნახაზზე მოცემული სისტემა. დავუშვათ, რომ  
1. წირვივი ელემენტისათვის საწყისი პირობები შეირჩეულია ისე, რომ კმაყოფილდება შემდეგი უტოლობები:

$$|e_0(t)| \leq c_0 e^{-\alpha t}; \quad |g(t)| \leq c_g e^{-\alpha t}, \quad (4.43)$$

სადაც  $c_0, c_g$  და  $\alpha$  მუდმივებია.

2. არაწრფივი ელემენტისათვის არსებობს ისეთი  $K$  კონსტანტა, რომ

$$|u(t)| \leq K |e(t)| \quad (4.44)$$

ნებისმიერი  $t$ -თვის.

3. შემავალი სიგნალისათვის არსებობს ისეთი კონსტანტა  $c_r$ , რომ

$$|r(t)| \leq c_r e^{-\alpha t} \quad (4.45)$$

ყველა  $t$ -თვის.

თუ შესრულებულია უტოლობა

$$\alpha > K c_g, \quad (4.46)$$

მაშინ  $e(t) \rightarrow 0$ , როცა  $t \rightarrow \infty$ . უფრო მეტიც,  $e(t)$  რეაქცია შეზღუდულია

$$|e(t)| \leq (c_0 + c_r) e^{-(\alpha - K c_g) t}. \quad (4.47)$$

თეორემის დამტკიცებისათვის გამოვიყენოთ (4.41) გამოსახულებაში (4.43-4.45) განტოლებები. მივიღებთ

$$|e(t)| \leq (c_r + c_0) e^{-\alpha t} + K c_g e^{-\alpha t} \int_0^t |e(\tau)| e^{\alpha \tau} d\tau,$$

$$|e(t)|e^{\alpha t} \leq (c_r + c_0) + Kc_g \int_0^t |e(\tau)|e^{\alpha \tau} d\tau.$$

თუ გამოვიყენებთ ბელმან-გრენველის ლემას მივიღებთ (4.47). განხილული თეორემა განსაზღვრავს სუსტ საზღვარს სისტემის მდგრადობის შესამოწმებლად. ახლა განვიხილოთ სისტემა, რომელიც აღიწერება მატეის განტოლებით

$$\ddot{e}(t) + 2\dot{e}(t) + (c - 3 - d\cos \omega t)e(t) = 0.$$

თუ გავითვალისწინებთ ნახაზზე მოცემულ აღნიშვნებს, მივიღებთ

$$r(t) = 0, \quad u(t) = k(t)e(t),$$

$$G(p) = \frac{1}{(p+1)^2 + c - 4}; \quad k(t) = d\cos \omega t.$$

$G(p)$ -დან გადავიღოთ იმპულსურ გარდამავალ ფუნქციას

$$g(t) = \frac{e^{-t}}{\sqrt{c-4}} \sin \sqrt{c-4} t.$$

მასამადამე, შესაძლებელია ჩაეწეროს

$$|g(t)| \leq \begin{cases} \frac{1}{2\sqrt{c-4}} e^{-1 - \sqrt{c-4}} t, & c < 4, \\ \frac{1}{\sqrt{c-4}} e^{-t}, & c > 4 \end{cases}$$

გარდამავალი ფუნქციის საზღვრებს (საწყისი პირობებიდან გამომდინარე) უნდა ჰქონდეს იგივე მაჩვენებლები. თეორემიდან გამომდინარე, აღნიშვნებს აქვთ სახე

$$c_g = \frac{1}{2\sqrt{4-c}}; \quad \alpha = 1 - \sqrt{4-c}, \quad \text{თუ } c < 4.$$

$$c_g = \frac{1}{\sqrt{c-4}}; \quad \alpha = 1 \quad \text{თუ } c > 4.$$

საკმარისი პირობები იმისათვის, რომ  $\lim_{t \rightarrow \infty} e(t) = 0$ , მდგომარეობს შემდეგში:

$$d < \begin{cases} 2(\sqrt{4-c} - 4 + c), & c < 4, \\ \sqrt{c-4} & c > 4. \end{cases}$$

## მატაბლითი 4.2

განვიხილოთ განტოლება

$$\dot{x}(t) + p(t)x(t) = 0 \quad (4.48)$$

გამოვიყენოთ ჩასმა

$$z(t) = x(t) \exp(-0.5) \int_0^t a(s) ds. \quad (4.49)$$

მაშინ (4.48) -ზე დავა უფრო ზოგადი განტოლება

$$\dot{z}(t) + a(t)z(t) + b(t)z(t) = 0. \quad (4.50)$$

ჩაეწეროს (4.48) განტოლებათა სისტემის სახით

$$\dot{x} = y, \quad \dot{y} = -P(t)x, \quad (4.51)$$

$$A(t) = \begin{bmatrix} 0 & 1 \\ -P(t) & 0 \end{bmatrix}, \quad \text{Tr} A(t) = 0$$

ფუნდამენტალური  $X(t)$  მატრიცის აქვს სახე

$$X(t) = \begin{bmatrix} \varphi(t) & \psi(t) \\ \dot{\varphi}(t) & \dot{\psi}(t) \end{bmatrix}, \quad \begin{aligned} \varphi(0) &= 1, \quad \psi(0) = 0, \\ \dot{\varphi}(0) &= 0, \quad \dot{\psi}(0) = 1. \end{aligned} \quad (4.52)$$

თუ გამოვიყენებთ ფლოკუს განტოლებას

$$\det [X(\lambda) - P_1] = 0, \quad (4.53)$$

სადაც  $P_1$  არის  $X(\lambda)$  მატრიცის საკუთრივი მნიშვნელობები. (4.53) განტოლებიდან ვიტყავს ფორმულებისა და ოსტროგრადსკი-ლიუვილის თეორემის გამოყენებით გამომდინარეობს

$$\sum_{j=1}^n P_j = \text{Tr} X(\lambda) = \sum_{i=1}^n X_{ii}(\lambda), \quad (4.54)$$

$$\prod_{j=1}^n P_j = \det X(\lambda) = \exp \int_0^\infty \text{Tr} A(t) dt \quad (4.55)$$

ამ შემთხვევაში თუ გავითვალისწინებთ (4.53), მივიღებთ

$$P^2 - aP + \det X(\lambda) = 0.$$

(4.52), (4.53), (4.54) გათვალისწინებით

$$\det X(\lambda) = 1, \quad a = \varphi(\lambda) + \dot{\psi}(\lambda), \quad P_{1,2} = 0.5(a \pm \sqrt{a^2 - 4})$$

სიდიდეს  $a = \varphi(t) + \dot{\psi}(t)$  უწოდებენ ლიპუნოვის მუდმივას და განსაზღვრავს (4.48) განტოლების მდგრადობას. შესაძლოა სამი შემთხვევა

1.  $|a| > 2$ , მაშინ  $P_1$  და  $P_2$  ნამდვილია.  $|P_1| > 1$  და  $|P_2| < 1$ ; სისტემა არის არამდგრადი.

2.  $|a| < 2$ ,  $P_1$ ,  $P_2$  კომპლექსური-მეუღლეებულია.  $|P_1| = |P_2| = 1$ ; სისტემა არის მდგრადი.

3.  $|a| = 2$ , ამ შემთხვევაში  $P_1 = P_2$ -ეს არის კრიტიკული შემთხვევა და საჭიროებს დამატებით კვლევებს.

მაშასადამე, თუ

$$|\varphi(\lambda) + \dot{\psi}(\lambda)| < 2$$

მაშინ (4.48) სისტემა არის მდგრადი.

ახლა განვიხილოთ მათემატიკის განტოლების სხვა სახე

$$\ddot{X}(\omega^2 + \varepsilon \cos \omega t)X = 0.$$

$\varepsilon = 0$  შემთხვევაში განტოლებას აქვს სახე

$$\ddot{X} + \omega^2 X = 0.$$

მისი ამოხსნა იქნება

$$\varphi(t) = \cos \omega t, \quad \psi(t) = 1/\omega \sin \omega t.$$

მაშასადამე  $a = 2 \cos 2\pi \omega$ . ნათელია, რომ  $|a| < 2$ , თუ  $\omega \neq 0.5, 1, 1.5, 2, \dots$  წერტილები  $\omega = 0.5, 1, 1.5, 2, \dots$  შეიძლება განვიხილოთ როგორც მდგრადობის უბნების საზღვარები. როდესაც  $\varepsilon \neq 0$ , მდგრადობის საზღვარი აიკეზა რიცხვობრივად (ნახაზი 16.). პარამეტრების იმ მნიშვნელობების დროს, რომელიც მოცემულია დაშტრიხულ უბნებში. სისტემა არის არამდგრადი, არადაშტრიხულში - მდგრადი.




Abb. 16.

## 5. წარმომადგენლის სისტემების დაკვირვებადობა და მართვადობა

ახლა განვიხილოთ წარმომადგენლის სისტემების ორი ფუნდამენტალური ცნება. ესენია დაკვირვებადობა და მართვადობა. რომელიც შემოიტანა რ.კალმანმა. დაკვირვებადობის და მართვადობის ცნება დამყარებულია შემდეგ ორ საკითხზე, რომელთაც აქვთ ცხადი ფიზიკური შინაარსი:


1. როგორი პირობების დროს შეიძლება ალგადინით დინამიკური სისტემის მდგომარეობის  $X$  ვექტორის მოქმედება დროის სასრულო ინტერვალში, თუ ვიცით გაზომვის  $Z$  ვექტორის მოქმედება იმავე დროის ინტერვალში.

2. როგორი პირობების დროს შეიძლება გადავიყვანოთ დინამიკური სისტემა მოცემული საწყისი მდგომარეობიდან სასრულო მდგომარეობაში უბან-უბან უწყვეტი მართვის  $U$  ფუნქციის გამოყენებით.

სანამ გადავიდეთ საკითხის ვრცელ განხილვაზე, რამდენიმე უბრალო სქემის საშუალებით მოვახდინოთ დაკვირვებადობის და მართვადობის თვისობრივი ილუსტრაცია.


განვიხილოთ დინამიკური  $S$  სისტემა,  $X$  მდგომარეობით, მართვის  $U$  ვექტორით და გაზომვის  $Z$  ვექტორით.

პირველად დავუშვათ, რომ სისტემის სტრუქტურულ სქემას აქვს (17) ნახაზზე მოცემული სახე.



ნახ.17

(არადაკვირვებადი მართვადი სისტემის სქემა)



ნახ.18

დაკვირვებადი არამართვადი სისტემის სქემა

$Y$ -არის ვექტორი, რომლის მდგენელებია  $X(X_1 \dots X_k)$  ვექტორის პირველი  $K$  კომპონენტი. ან მისი ნაწილი. სტრუქტურებიდან არ შეიძლება განისაზღვროს  $X_{k+1}, \dots, X_n$ , თუ ვიცით  $Z$ , ვერაირად ეს ცვალდება არ ახდენენ ზეგავლენას  $X_1 \dots X_k$  მდგენელებზე და არ შეიძლება  $Z$ -ში. მაშასადამე, სისტემა არის არადაკვირვებადი. მეორეს მხრივ, თუ  $U$  მოქმედებს  $X$  ყველა ელემენტზე, სისტემა არის მართვადი.

ანალოგიურად, ნახ. 18-ზე მოცემული სისტემა არის დაკვირვებადი და არამართვადი. ვინაიდან  $U$  მოქმედებს მხოლოდ  $X_1, \dots, X_k$  ცვლადებზე.

ცხადია, რომ სისტემები შეიძლება დაეთვალიეროს კონტროლირებად: დაკვირვებადი მართვადი, დაკვირვებადი არამართვადი, არადაკვირვებადი მართვადი და არადაკვირვებადი არამართვადი.

## 5.1 უწყვეტი წრფივი სისტემების დაკვირვებადობა

განივილით უწყვეტი წრფივი სისტემა

$$\dot{X}(t) = F(t)X(t) + C(t)U(t), \quad (5.1)$$

$$Z(t) = H(t)X(t), \quad \text{ყველა } t \geq t_0. \quad (5.2)$$

$X$  —  $n$  განზომილების მდგომარეობის ვექტორია,

$U$  —  $r$  განზომილების მართვის ვექტორია,

$F(t)$  — არის  $n \times n$  განზომილების მატრიცა,

$C(t)$  არის  $n \times r$  განზომილების მატრიცა,

$H(t)$  არის  $n \times n$  განზომილების მატრიცა.

ნაგულისხმებია, რომ  $U(t)$  არის დროის უწყვეტი ფუნქცია ყველა  $t \geq t_0$ ,  $X(t)$  — უცნობია. მოთხოვნაა, რომ განისაზღვროს  $X(t)$ , თუ ვიცით  $Z(t)$  დროის სასრულო  $[t_0, t_1]$  ინტერვალში. ყველა  $t \geq t_0$ , მაშინ

$$X(t) = H^{-1}(t)Z(t)$$

და საკითხი დაკვირვებადობაზე წყდება ტრივიალურად. ეს საკითხი აგრეთვე მართვად წყდება, თუ მატრიცა  $H(t)$ -ს აქვს  $n \times n$  განზომილება და არასინგულარულია. ცხადია, თუ მატრიცა  $H(t)$  აქვს განზომილება  $n \times n$  და არასინგულარულია მხოლოდ  $t \geq t_0$  ერთი მნიშვნელობისათვის, ვთქვათ  $t_\alpha$ . მაშინ ადვილად დაფრწმუნდებით, რომ

$$X(t_\alpha) = H^{-1}(t_\alpha)Z(t_\alpha).$$

როგორც ცნობილია,

$$X(t) = \Phi(t, t_0)X(t_0) + \int_{t_0}^t (\tau, \tau)C(\tau)U(\tau)d\tau. \quad (5.3)$$

$t = t_\alpha$  მნიშვნელობისათვის

$$H^{-1}(t_\alpha)Z(t_\alpha) = \Phi(t_\alpha, t_0)X(t_0) + \int_{t_0}^{t_\alpha} \Phi(t_\alpha, \tau)C(\tau)U(\tau)d\tau.$$

საიდანაც გამოდის, რომ

$$\begin{aligned} X(t_0) &= \Phi^{-1}(t_\alpha, t_0)[H^{-1}(t_\alpha)Z(t_\alpha) - \int_{t_0}^{t_\alpha} \Phi(t_\alpha, \tau)C(\tau)U(\tau)d\tau] = \\ &= \Phi(t_0, t_\alpha)H^{-1}(t_\alpha)Z(t_\alpha) - \int_{t_0}^{t_\alpha} \Phi(t_0, \tau)C(\tau)U(\tau)d\tau. \end{aligned} \quad (5.4)$$

თუ შევითავსებთ  $X(t_0)$  მნიშვნელობას (5.3) განტოლებაში, მაშინ შეიძლება განისაზღვროს  $X(t)$  ყველა  $t \geq t_0$ , ვინაიდან  $U(\tau)$  ცნობილია  $\tau \geq t_0$ .

მაგრამ თუ  $n \times n$  განზომილების  $H(t)$  მატრიცა სინგულარულია ყველა  $t \geq t_0$ , ან თუ  $H(t)$  აქვს განზომილება  $m \times n$ , როდესაც  $m < n$ , მაშინ სრულებითაც არ არის ნათელი. როგორ განესაზღვროთ  $X(t)$   $Z(t)$ -დან,  $t_0 \leq t \leq t_1$  ის საწყისი მნიშვნელობისას. აი ეს საკითხია, რომელიც უნდა იყოს გამოკვლეული. შევნიშნოთ, რომ (5.3) განტოლების თანახმად მდგომარეობა  $X(t)$  ცნობილია ყველა  $t \geq t_0$ , თუ საწყისი პირობა  $X(t_0)$

შეიძლება განსაზღვროს გამოშვებიდან. გვაქვს რა ეს მხედველობაში. შემოვიტანოთ დაკვირვებადობის შემდეგი განსაზღვრება:

უწყვეტ წრფივ სისტემას

$$\dot{X}(t) = F(t)X + C(t)U(t) \quad (5.5)$$

$$Z(t) = H(t)X(t) \quad (5.6)$$

უწოდებენ დაკვირვებადს, თუ  $X(t)$  შეიძლება განსაზღვროს  $Z(t)$ -დან, რაღაც განსაზღვრული სასრული  $t_1$ -ის დროს,  $t_0 \leq t \leq t_1$ . თუ ეს სამართლიანია ნებისმიერი  $t_0$ , მაშინ სისტემას უწოდებენ მთლიანად დაკვირვებადს. სისტემის მთლიანად დაკვირვებადობის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობა მოცემულია შემდეგ თეორემაში.

## თეორემა 5.1

უწყვეტი წრფივი სისტემა (5.5), (5.6) არის მთლიანად დაკვირვებადი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა სიმეტრიული  $n \times n$  განზომილებიანი მატრიცა

$$M_c(t_0, t_1) = \int_{t_0}^{t_1} \Phi'(t, t_0) H'(t) H(t) \Phi(t, t_0) dt \quad (5.7)$$

არის დადებითად განსაზღვრული რაღაც სასრული  $t_1 > t_0$ .

დამტკიცება: ვინაიდან იგულისხმება, რომ  $U(t)$  ცნობილია ყველა  $t \geq t_0$ , ადვილი განსაზღვრია  $U(t)$  მოქმედება  $X(t)$ -ზე:

$$\int_{t_0}^t \Phi(t, \tau) C(\tau) U(\tau) d\tau.$$

მაშასადამე, საკმარისია განვიხილოთ სისტემა

$$\dot{X} = F(t)X(t), \quad (5.8)$$

$$Z(t) = H(t)X(t), \text{ სადაც } t \geq t_0. \quad (5.9)$$

პირველად დავამტკიცოთ საკმარისობა. (5.8) განტოლების ამონახსნი  $X(t) = \Phi(t, t_0)X(t_0)$  შევითანოთ (5.9) განტოლებაში. მივიღებთ

$$Z(t) = H(t)\Phi(t, t_0)X(t_0). \quad (5.10)$$

გავამრავლოთ ეს განტოლება მარცხნიდან  $\Phi'(t, t_0)H'(t)$  და მოვახდინოთ ინტეგრირება  $t_0$ -დან  $t_1$ -მდე ზღვრებში. მივიღებთ

$$\int_{t_0}^{t_1} \Phi'(t, t_0) H'(t) H(t) \Phi(t, t_0) dt X(t_0) = \int_{t_0}^{t_1} \Phi'(t, t_0) H'(t) Z'(t) dt. \quad (5.11)$$

თუ ავლნიშნავთ

$$M_c(t_0, t_1) = \int_{t_0}^{t_1} \Phi'(t, t_0) H'(t) H(t) \Phi(t, t_0) dt,$$

მაშინ (5.11)-დან გამომდინარეობს, რომ

$$X(t_0) = M_c^{-1}(t_0, t_1) \int_{t_0}^{t_1} \Phi'(t, t_0) H'(t) H(t) Z(t) dt \quad (5.12)$$

და სისტემა ცხადია, იქნება მთლიანად დაკვირვებადი, თუ მატრიცა  $M_c(t_0, t_1)$  დადებითად განსაზღვრულია რომელიმე სასრულ  $t_1 > t_0$ -ზე.

აუცილებლობის დასამტკიცებლად დაეუშვათ, რომ სისტემა არის მთლიანად ლაკირებული. მაგრამ მატრიცა  $M_c(t_0, t_1)$  არ არის დადებითად განსაზღვრული, ე.ი. რომელიმე  $X(t_0) \neq 0$

$$X'(t_0)M_c(t_0, t_1)X(t_0)=0.$$

(შემთხვევა  $X'(t_0)M_c(t_0, t_1)X(t_0) < 0$  არ განიხილება,  $M_c(t_0, t_1)$  მატრიცის განსაზღვრების თანახმად).

(5.11) თანახმად ეს ნიშნავს, რომ

$$X'(t_0) \int_{t_2}^{t_1} H'(t)Z(t)dt=0.$$

თუ შევითვალთ, რომ  $Z(t)$  (5.10), მივიღებთ

$$\int_{t_0}^{t_1} Z'(t)Z(t)dt=0,$$

საიდანაც  $Z(t)=0$ ,  $t_0 \leq t \leq t_1$

მაშასადამე, არსებობს ნულისაგან განსხვავებული  $X(t)$ , რომლის განსაზღვრაც შეუძლებელია, თუ ვიცით  $Z(t)$ ,  $t_0 \leq t \leq t_1$ , რომელიც ეწინააღმდეგება დაშვებას სისტემის ლაკირებულობის შესახებ. თორემ დაშვებულია.

აღნიშნული თეორემის გამოყენება პრაქტიკულად ძნელია, ამიტომ სტაციონარული სისტემებისათვის მიღებულია შემდეგი შედეგი.

### შედეგი.

სტაციონარული უწყვეტი წრფივი სისტემა  $\dot{X}(t)=FX(t)$ ,  $Z(t)=Hx(t)$ , სადაც  $t \geq t_0$ , არის მთლიანად ლაკირებული მაშინ და მხოლოდ მაშინ, თუ  $n \times n$  განზომილების მატრიცას

$$\left| H'F'H' \dots (F')^{n-1}H' \right|$$

აქვს რანგი  $n$ .

დამტკიცება ხდება შემდეგნაირად. დაეუშვათ, რომ სისტემა  $\dot{X}(t)=AX(t)+BX(t)$ ,  $Y(t)=CX(t)$ ,

$$F=A, H=C, Y(t)=Z(t)$$

არის მთლიანად ლაკირებული, მაშინ თეორემიდან გამოდის, რომ  $t_1$ -თვის არსებობს ისეთი მომენტი  $t_0$ , რომლისთვისაც ტოლობიდან

$$C e^{A(t-t_0)} X_0 = 0, \quad t_0 \leq t \leq t_1, \quad (5.13)$$

მივიღებთ  $X_0=0$ . წარმოადგინოთ  $\exp^{A(t-t_0)}$  ტეილორის მწკრივად. მივიღებთ  $C e^{A(t-t_0)}=0$  ექვივალენტურია ტოლობის

$$[C + CA(t-t_0) + CA^2(t-t_0)^2/2! + CA^3(t-t_0)^3/3! + \dots] X_0 = 0, \quad t_0 \leq t \leq t_1. \quad (5.14)$$

თუ  $Q$  ლაკირებულობის მატრიცას არა აქვს სრული რანგი, მაშინ არსებობს ისეთი არანულოვანი  $X_0$ , რომ  $CX_0=0$ ,  $CAX_0=0$ , ...,  $CA^{n-1}X_0=0$ . თუ გამოვიყენებთ კელი-ჰამილტონის თეორემას, ადვილი სანახავია, რომ  $CA^e X_0=0$ ,  $e \leq n$ . ე.ი. თუ  $Q$ -ს არა აქვს სრული რანგი, არსებობს ისეთი არანულოვანი  $X_0$ , რომლისთვისაც სამართლიანია (5.14).

ცხადია, რომ  $X_0 \neq 0$  და სისტემა არ არის მთლიანად დაკვირვებადი. რაც ეწინააღმდეგება ჩვენს დაშვებას. აქედან გამომდის, რომ  $Q$  მატრიცას აქვს მთლიანი რანგი. ეს შედეგი იწვევს შემდეგს:

$$Y(t) = Ce^{A(t-t_0)} X_0 = 0, \quad t_0 \leq t \leq t_1.$$

$$Y(t) \text{-ს მრავალჯერადი ღიფერენცირება გვაძლევს}$$

$$Y(t_0) = CX_0 = 0,$$

$$\dot{Y}(t_0) = CAX_0 = 0,$$

$$\ddot{Y}(t_0) = CA^2 X_0 = 0,$$

$$Y^{(n-1)}(t_0) = CA^{(n-1)} X_0 = 0$$

$$\text{ან } QX_0 = 0$$

ვინაიდან  $Q$ -ს აქვს მთლიანი რანგი, ვღებულობთ, რომ  $X_0 = 0$ . აქედან ვასკენით, რომ თეორემის თანახმად, სისტემა არის მთლიანად დაკვირვებადი. თეორემა დამტკიცებულია.

## 5.2 უწყვეტი წრფივი სისტემის მართვადობა

განივილით უწყვეტი წრფივი სისტემა

$$\dot{X}(t) = F(t)X(t) + C(t)U(t), \quad t \geq t_0. \quad (5.15)$$

საწყისი მდგომარეობა  $X(t_0)$  ცნობილია, მაგრამ მართვა  $U(t)$  ჯერ არ არის განსაზღვრული. აქ უნდა იყოს გამოკვლეული (5.15) სისტემა  $X(t_0)$  მნიშვნელობიდან სასრულო  $X(t_1) = X^1$  მნიშვნელობამდე, სადაც  $t_1$  შეზღუდულია. ახალი კოორდინატების შემოტანისას  $Y(t) = X(t) - X^1$  ამოცანა ჩამოყალიბდება, როგორც გადასვლა  $X(t_0)$  კოორდინატთა სათავეში სასრულო დროში.

შემოვიტანოთ შემდეგი განსაზღვრება: უწყვეტ წრფივ სისტემას ეწოდება მართვადი  $t_0$  მომენტში, თუ არსებობს უბან-უბან წრფივი  $X(t_0)$ -ზე დამოკიდებული მართვის ფუნქცია  $U(t)$  განსაზღვრული დროის  $t_0 \leq t \leq t_1$  ინტერვალში, ამასთან  $X(t_1) = 0$ . თუ ეს სამართლიანია ყველა  $X(t_0)$ -თვის ნებისმიერი  $t_0$ -ის დროს, მაშინ სისტემას უწოდებენ მთლიანად მართვად სისტემას.

სისტემის მართვადობის არსებობის აუცილებელი და საკმარისი პირობა მოცემულია შემდეგი თეორემის სახით:

### თეორემა 5.2

უწყვეტი წრფივი სისტემა

$$\dot{X}(t) = F(t)X(t) + C(t)U(t) \quad (5.16)$$

არის მთლიანად მართვადი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $n \times n$  განზომილების სიმეტრიული მატრიცა

$$W_c(t_0, t_1) = \int_{t_0}^{t_1} \Phi(t_0, t) C(t)' (t) \Phi'(t_0, t) dt \quad (5.17)$$

არის დადებითად განსაზღვრული რომელიმე  $t_1 > t_0$  მომენტში.

სამპარისონა. წინა პარაგრაფის (5.3) განტოლებიდან  $t=t_1$ , გვექნება

$$X(t_1) = X(t_0) \Phi(t_1, t_0) + \int_{t_0}^{t_1} \Phi(t, \tau) C(\tau) U(\tau) d\tau. \quad (5.18)$$

დაეშვათ,

$$U(\tau) = -C'(\tau) \Phi'(t_0, \tau) W_c^{-1}(t_0, t_1) X(t_0), \quad t_0 \leq \tau \leq t_1. \quad (5.19)$$

მაშინ, თუ შევიტანთ (5.18) განტოლებას (5.19) განტოლებაში, მივიღებთ

$$X(t_1) = \Phi(t_1, t_0) X(t_0) - \left[ \int_{t_0}^{t_1} \Phi(t_1, \tau) C(\tau) C'(\tau) \Phi'(t_0, \tau) d\tau \right] \cdot \\ \cdot W_c^{-1}(t_0, t_1) X(t_0). \quad (5.20)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$\Phi(t_1, \tau) = \Phi(t_1, t_0) \Phi(t_0, \tau)$$

ყველა  $t_0$ . მაშასადამე, ინტეგრალი (5.20) განტოლებაში მიიღებს სახეს

$$\Phi(t_1, t_0) \int_{t_0}^{t_1} \Phi(t_0, \tau) C(\tau) C'(\tau) \Phi'(t_0, \tau) d\tau = \Phi(t_1, t_0) W_c(t_0, t_1),$$

საიდანაც გამოდის

$$X(t_1) = \Phi(t_1, t_0) X(t_0) - \Phi(t_1, t_0) W_c(t_0, t_1) W_c^{-1}(t_0, t_1) X(t_0),$$

რომელსაც მივყევართ  $X(t_1) = 0$ . მაშასადამე, სისტემა არის მთლიანად მართვადი, თუ  $W_c(t_0, t_1)$  მატრიცა არის დადებითად განსაზღვრული რომელიმე სასრულო  $t_1 > t_0$ .

აუცილებლობა

ახლა დაეშვათ, რომ სისტემა არის მართვადი. მაგრამ რომელიმე  $X(t_0) \neq 0$  სამართლიანია თანაფარდობა

$$X'(t_0) W_c(t_0, t_1) X(t_0) = 0. \quad (5.21)$$

აღვნიშნოთ

$$U^*(t) = -C'(t) \Phi'(t_0, t) X(t_0), \quad \text{ყველა } t_0 \leq t \leq t_1. \quad (5.22)$$

მაშინ

$$U^*(t) = -C'(t) \Phi'(t_0, t) X(t_0) C(t) C'(t) \Phi'(t_0, t) X(t_0)$$

ხოლო გამოსახულების ინტეგრირება ხდება  $t_0$  -დან  $t_1$  -მდე ზღვრებში და თუ გამოვიყენებთ  $W_c(t_0, t_1)$  განსაზღვრებას და (5.21) განტოლებას, მივიღებთ

$$\int_{t_0}^{t_1} U^*(t) U^*(t) dt = X'(t_0) \left[ \int_{t_0}^{t_1} \Phi(t_0, t) C(t) C'(t) \Phi'(t_0, t) dt \right] X(t_0) =$$

$$=X'(t_0)W_c(t_0, t_1)X(t_0)=0 \quad (5.23)$$

მატრიცები  $C(t)$  და  $\Phi(t_0, \tau)$  (5.22) განტოლებაში არიან დროის უწყვეტი ფუნქციები და, მაშასადამე, მართვა  $U(t)$  არის უწყვეტი. ამიტომ (5.23) დან გამომდინარეობს, რომ  $U(t)=0$  ყველა  $t$  -თვის, ინტერვალში  $t_0 \leq t \leq t_1$ .

ვინაიდან სისტემა არის მთლიანად მართვადი, უნდა არსებობდეს მართვა  $U(t)$ , რომლისთვისაც  $X(t_1)=0$ . ამ შემთხვევაში განტოლება (5.18) იღებხს სახეს

$$\Phi(t, t_0)X(t_0) = - \int_{t_0}^{t_1} \Phi(t_0, \tau)C(\tau)U(\tau)d\tau,$$

ან, რაც იგივეა

$$X(t_0) = \int_{t_0}^{t_1} \Phi(t_0, \tau)C(\tau)U(\tau)d\tau. \quad (5.24)$$

ახლა (5.24) და (5.22) განტოლებებიდან მივიღებთ,

$$\begin{aligned} X'(t_0)X(t_0) &= -X'(t_0) \int_{t_0}^{t_1} \Phi(t_0, \tau)C(\tau)U(\tau)d\tau = - \int_{t_0}^{t_1} X'(t_0)\Phi(t_0, \tau)C(\tau)U(\tau)d\tau = \\ &= \int_{t_0}^{t_1} U^*(\tau)U(\tau)d\tau. \end{aligned}$$

ეს იმას ნიშნავს, რომ  $X'(t_0)X(t_0)=0$ , ვინაიდან  $U(t)=0$ , ყველა  $t_0 \leq t \leq t_1$  აქედან გამომდინარეობს, რომ  $X(t_0)=0$ , ეს კი ეწინააღმდეგება საწყის პირობას  $X(t_0) \neq 0$ . თეორემა დამტკიცებულია.

სტაციონალური უწყვეტი წრფივი სისტემებისათვის ცნობილია შემდეგი შედეგი.

$$\dot{X} = AX + Bu \quad (5.25)$$

შედეგი.

სტაციონარული უწყვეტი წრფივი სისტემა  $\dot{X} = AX + BU$ ;  $t \geq 0$ , არის მთლიანად დაკვირვებადი მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც  $n \times n$  განზომილების მატრიცას

$$[B \ AB \ \dots \ A^{n-1}B]$$

აქვს რანგი  $n$ .

დამტკიცება

თუ სისტემა იმყოფება ნულიდან მდგომარეობაში, მაშინ  $t_1$  მომენტში მდგომარეობის პრეზენტაციას აქვს სახე

$$X(t_1) = \int_{t_0}^{t_1} e^{A(t_1-\tau)} BU(\tau)d\tau. \quad (5.26)$$

ექსპონენციალი დავშალთ ტეილორის მწკრივად

$$X(t_1) = B \int_{t_0}^{t_1} U(\tau) d\tau + AB \int_{t_0}^{t_1} (t_1 - \tau) U(\tau) d\tau + A^2 B \int_{t_0}^{t_1} ((t_1 - \tau)^2 / 2!) U(\tau) d\tau + \dots \quad (5.27)$$

ჩანს, რომ მდგომარეობის სასრულო მნიშვნელობა ეკუთვნის წრფივ ქვესივრცეს. რომელიც წარმოშობილია უსასრულო მიმდევრობის ვექტორ — სვეტების მატრიცებით  $B, AB, A^2B, \dots$  ამ თანმიმდევრობაში უნდა გამოჩნდეს მატრიცა  $A^{e+1}B$ , რომლის ყველა ვექტორი — სვეტები წრფივად არის დამოკიდებული წინა მატრიცის ვექტორ — სვეტებზე  $B, AB, \dots, A^{e-1}B$ . ასეთ მატრიცას უნდა ჰქონდეს ადგილი, უნაიდან  $n$  განზომილებიან სივრცეში არ შეიძლება იყოს  $n$  — ზე მეტი წრფივად დამოკიდებული ვექტორები. ეს გულისხმობს, რომ  $e \leq n$ .

ასეა განვიხილოთ  $A^{e+1}B = A(A^eB)$ . უნაიდან  $A^eB$  მატრიცის ვექტორ — სვეტები წრფივად არიან დამოკიდებული ვექტორ — სვეტებზე  $B, AB, \dots, A^{e-1}B$ , შეიძლება, ჩაეწეროთ.

$$A^e B = BA_0 + AB_1 + \dots + A^{e-1}B_{l-1},$$

სადაც  $\lambda_i$ , ( $i=0, 2, \dots, l-1$ ) წარმოადგენენ მატრიცებს, რომლებიც შეიცავენ კოეფიციენტებს. რომელთა საშუალებით ყოველი ვექტორ — სვეტი  $A^e B$  მატრიცის  $B, AB, \dots, A^{e-1}B$  — საშუალებით გვაქვს

$$A^{e+1}B = BA_0 + A^2B_1 + \dots + A^e B_{l-1}.$$

აქედან ჩანს, რომ  $A^{e+1}B$  ვექტორის სვეტები წრფივად არის დამოკიდებული  $B, AB, \dots, A^{e-1}B$  ვექტორ — სვეტებზე.

ასეონაირადვე შეიძლება ვთქვათ, რომ  $A^k B$  მატრიცის ყველა ვექტორ-სვეტები  $k \geq e$  — თვის წრფივად არის დამოკიდებული  $B, AB, \dots, A^{e-1}B$  მატრიცების ვექტორ-სვეტებზე.

დაეუბრუნდეთ (5.26) განტოლებას. შევაჩვენეთ, რომ  $X(t_1)$  ეკუთვნის წრფივ ქვესივრცეს, რომელსაც წარმოქმნის  $B, AB, \dots, A^{e-1}B$  მატრიცის ვექტორ-სვეტები. უნაიდან  $e \leq n$ , შეიძლება ითქვას, რომ  $X(t_1)$  ეკუთვნის ქვესივრცეს, რომელიც წარმოიქმნება  $B, AB, \dots, A^{n-1}B$  მატრიცის ვექტორ-სვეტებით.

ასეა ნათელია, რომ თუ მატრიცის ვექტორ-სვეტები ვერ აღწარმოებენ  $n$  — განზომილებიან სივრცეს, შეიძლება მივადწიოთ მხოლოდ იმ პარამეტრებს, რომლებიც ეკუთვნიან წრფივ ქვესივრცეს და მისი განზომილება  $n$  — ზე ნაკლებია. ამიტომ სისტემა არ არის მთლიანად მართალი. ეს ამტკიცებს იმას, რომ თუ სისტემა არის მთლიანად მართალი,  $P = [B, AB, \dots, A^{n-1}B]$  მატრიცის ვექტორ-სვეტები წარმოშობენ  $n$  — განზომილებიან სივრცეს.

თორემის მეორე ნაწილის დამტკიცება, რომ  $P$  მატრიცა წარმოქმნის  $n$  — განზომილებიან სივრცეს, ხდება შემდეგნაირად:  $U(\tau)$ ,  $t_0 \leq \tau \leq t_1$  შესასვლელის შერჩევით შეიძლება ამოვარჩიოთ კოეფიციენტების ისეთი ვექტორები განტოლებაში

$$\int_{t_0}^{t_1} \frac{(t_1 - \tau)^{l-1}}{(l-1)!} U(\tau) d\tau,$$

რომ (5.27) მარჯვენა მხარეები გაუტოლდეს სივრცეში მოცემულ ნებისმიერ ვექტორს, წარმოშობილი  $P$  მატრიცის სვეტებით.

$P$  მატრიცის სვეტები წარმოშობენ  $n$  — განზომილებიან სივრცეს. ეს იმას, ნიშნავს, რომ მიიღწევი სასრულო მდგომარეობა და სისტემა არის მთლიანად მართალი. ამით მთავრდება თეორემის დამტკიცება.

(5.25) სისტემის მართალობა მთლიანად განისაზღვრება  $A$  და  $B$  მატრიცებით. სამართლიანია შემდეგი განსაზღვრება.

ბანსაზღვრება. მოცემულია  $n \times n$  და  $n \times k$  განზომილების მატრიცები. მაშინ წყვილი  $\{A, B\}$  არის მთლიანად მართვადი, თუ სისტემა

$$\dot{X}(t) = AX(t) + BU(t)$$

არის მთლიანად მართვადი.

საქსებით ცხადია მსკავსება დაკვირვებადობის და მართვადობის თეორემებს შორის. ერთი თეორემიდან მეორეზე შეიძლება გადასვლა, თუ მოვახდენთ შემდეგ ცვლილებებს

$$\begin{cases} \text{დაკვირვებადობა} \longrightarrow \text{მართვადობა.} \\ M_c(t_0, t_1) \longrightarrow W_c(t_0, t_1). \\ \Phi(t, t_0) \longrightarrow \Phi'(t_0, t). \\ H(t) \longrightarrow C'(t). \end{cases} \quad (5.28)$$

ეს თვითება პირველად შეამჩნია რ.კალმანმა, რომელმაც მას უწოდა დუალობა. ამრიგად, დაკვირვებადობა და მართვადობა წარმოადგენენ წრფივი სისტემის დუალურ თვისებებს.

### 5.3 მართვადი/დაკვირვებადი ქვესისტემის ბაზოჟობა

იმ შემთხვევაში, თუ განსახილველი სისტემა არის /არ არის/ მთლიანად მართვადი/დაკვირვებადი, სასარგებლოა გამოიყოს მართვადი/დაკვირვებადი ქვესისტემა და მისთვის მოვახდინოთ მართვის ამოცანების გადაწყვეტა.

სანამ გამოვყოფდეთ ასეთი ქვესისტემებს, უნდა აღვნიშნოთ თვისება, რომ მართვადობა/დაკვირვებადობა ინვარიანტულია ბაზისის მიმართ, რომელშიც განსაზღვრულია მდგომარეობის  $X$  ვექტორი.

#### თეორემა 5.3

თუ სისტემა

$$\dot{X} = AX + BU, \quad Y = CX, \quad X(t_0) = X_0 \quad (5.29)$$

არ არის მთლიანად მართვადი, მაშინ არსებობს ისეთი არასინგულარული მუდმივი მატრიცა  $T$ , რომ

$$T^{-1}AT = \begin{bmatrix} A_{11} & A_{12} \\ 0 & A_{22} \end{bmatrix}, \quad (5.30)$$

$$T^{-1}B = \begin{bmatrix} B_0 \\ \dots \\ 0 \end{bmatrix}, \quad (5.31)$$

და სისტემა  $\dot{X}_1 = A_{11}X_1 + B_1U$  (5.31) არის მთლიანად მართვადი.

ახალ ბაზისში (5.29) სისტემას აქვს სახე

$$\dot{X}_1 = A_{11}X_1 + A_{12}X_2 + B_1U, \quad \dot{X}_2 = A_{22}X_2, \quad Y = C_1X_1 + C_2X_2. \quad (5.32)$$

$X_1$  აქვს  $P$  რანგის განზომილება.

(5.29)-დან გამომდინარეობს, რომ  $X_2$  მთლიანად დამოუკიდებელია და შეიძლება განვიხილოთ როგორც გარეშე ზემოქმედება მართვად ქვესისტემაზე.

#### თეორემა 5.4

თუ (5.29) სისტემა არ არის მთლიანად დაკვირვებადი, მაშინ არსებობს ისეთი არასინგულარული მატრიცა  $T$ , რომ

$$T^{-1}AT = \left[ \begin{array}{c|c} A_{11} & 0 \\ \hline A_{21} & A_{22} \end{array} \right], \quad CT = [C_1 | 0]. \quad (5.33)$$

და (5.29) ქვესისტემას ახალ ბაზისში აქვს სახე

$$X = A_{11}X_1 + B_1U, \quad Y = C_1X_1 \quad (5.34)$$

$$X = A_{21}X_1 + A_{22}X_2 + B_2U \quad (5.35)$$

ამასთან ქვესისტემა (5.34) არის დაკვირვებადი (5.34) და (5.35) განტოლებების ანალოზის შედეგად. შეიძლება დაუადგინოთ, რომ  $y(t)$  დაკვირვების შედეგად ვერაფრით მსჯელობას ვერ ჩაუტარებთ  $X_2$ -ზე.

დაკვირვებადი/მართვადი ქვესისტემის გამოყოფის ალგორითმი შეიძლება შედგებოდეს პირველად (5.34) ქვესისტემის გამოყოფით და განხილვიდან (5.35) ამოღებით. შემდეგში კი მართვადი ქვესისტემის გამოყოფით.

აუცილებლად (5.32) ქვესისტემა, დავუშვათ, რომ

$$\text{rank}[B | AB | \dots | A^{n-1}B] = P. \quad (5.36)$$

სივრცე დაჭიმულია

$$\{B, AB, \dots, A^{n-1}B\}.$$

ეს არის ინვარიანტული  $A$ -სივრცე. ე.ი. ნებისმიერი ვექტორი ამ სივრციდან გამრავლებული  $A$ -ზე, რჩება ისევ ამ სივრცეში. ეს გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ

$$A[B | \dots | A^{n-1}B] = \left[ AB | A^2B | \dots | \sum_{i=1}^{n-1} a_i A^i B \right]. \quad (5.37)$$

$T$  მატრიცა განისაზღვრება შემდეგნაირად:  $T$ -ს პირველი  $P$  სვეტი არის სივრცის ბაზისი, დაჭიმული  $\{B, AB, \dots, A^{n-1}B\}$ . მათ მივიღებთ, თუ გამოვიყენებთ განტოლებას

$$\begin{bmatrix} b_1 | \dots | b_{n-1} | \dots | b_1 | \dots | A^{n-1}b_1 \end{bmatrix}, \quad (5.38)$$

დარჩენილი  $n-P$  სვეტს ვირჩევთ ისე, რომ გარანტირებული იყოს  $T$ -ს არასინგულარობა. ამისათვის (5.38)-ში უნდა მოვახდინოთ მატრიცის სტრიქონების გადაადგილება ისე, რომ პირველი  $P$  სტრიქონები იმყოფებოდნენ არასინგულარულ მატრიცაში, რომლის რანგია  $P$ . შემდეგ ეს მატრიცა წაიზრდება მარჯვნიდან შემდეგი სახის მატრიცით  $[O \quad I]^P$ .  $I$ - ერთეულოვანი მატრიცაა. ამრიგად  $T$  მატრიცის არასინგულარობა გარანტირებულია. შემდეგ მოვახდინოთ სტრიქონების უკუ გადაადგილება. დავამტკიცოთ, რომ ეს მიგვიყვანს (5.32) განტოლებასთან.  $B$  მატრიცა ეკუთვნის სიმრავლეს, რომელიც დაჭიმულია  $\{B, AB, \dots, A^{n-1}B\}$ , ამას გარდა. ეს სივრცე წარმოქმნილია  $T$  მატრიცის  $P$  სვეტებით, ანუ:

$$B = T \begin{bmatrix} B_1 \\ \vdots \\ 0 \end{bmatrix}. \quad (5.39)$$

ზოგიერთი  $B_1$   $P$  მწკრივებით. ანალოგიურად შეიძლება ვაჩვენოთ, რომ

$$\begin{bmatrix} B | AB | \dots | A^{n-1}B \end{bmatrix} = T \begin{bmatrix} S_1 \\ - \\ 0 \end{bmatrix}. \quad (5.40)$$

$S_1$  აქვს  $P$  მწკრივები, ამას გარდა  $\text{rank } S_1 = P$ . აუცილებელია გვქონდეს

$$A \begin{bmatrix} B | AB | \dots | A^{n-1}B \end{bmatrix} = T \begin{bmatrix} S_2 \\ - \\ 0 \end{bmatrix}$$

რომელიც  $S_2$   $P$  მწკრივებით. ეს ნიშნავს, რომ

$$AT \begin{bmatrix} -S_1 \\ 0 \end{bmatrix} = T \begin{bmatrix} -S_2 \\ 0 \end{bmatrix}, \text{ ან } T^{-1}AT \begin{bmatrix} S_1 \\ 0 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} -S_2 \\ 0 \end{bmatrix}. \quad (5.41)$$

ვინაიდან  $S_1$  აქვს რანგი  $P$ , მაშინ

$$T^{-1}AT = \begin{bmatrix} A_{11} & A_{12} \\ 0 & A_{22} \end{bmatrix}, \quad (5.42)$$

სადაც  $A_{11}$  არის  $P \times P$  განზომილების მატრიცა. (5.41) და (5.39) განტოლებებიდან გამომდინარეობს (5.38). რჩება მხოლოდ ვაჩვენოთ, რომ  $[A_{11} B_1]$  არის მთლიანად მართებული. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ (5.41) და (5.39) გამომდინარეობს

$$T^{-1} \begin{bmatrix} B & AB & \dots & A^{n-1}B \end{bmatrix} = \begin{bmatrix} B_1 & A_{11}B_1 & \dots & A_{11}^{n-1}B_1 \\ 0 & 0 & \dots & 0 \end{bmatrix}$$

(5.40)-დან და იმ ფაქტიდან, რომ  $\text{rank} S_1 = P$ , ვღებულობთ


$$\text{rank} \begin{bmatrix} B_1 & A_{11}B_1 & \dots & A_{11}^{n-1}B_1 \end{bmatrix} = \text{rank} S_1 = p.$$

ვინაიდან  $A_{11}$  არის  $P \times P$  განზომილების მატრიცა, ამიტომ  $A_{11}^{n-1}B_1$  წრფივად არიან დამოკიდებული უფრო დაბალი რიგის წევრებისაგან. მაშასადამე

$$\text{rank} \begin{bmatrix} B_1 & A_{11}B_1 & \dots & A_{11}^{n-1}B_1 \end{bmatrix} = \text{rank} \begin{bmatrix} B_1 & \dots & A_{11}^{P-1}B_1 \end{bmatrix} = P.$$

აი, ის რაც უნდა დაგვემტკიცებინა. ანალოგიურად მტკიცდება მეორე თეორემა.

სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ მაგალითის განხილვაზე. შემოვიტანოთ ზოგიერთი აღნიშვნები და განმარტებები (ნახ.19).



ნახ.19.

განვიხილოთ ფიზიკური სისტემები, რომლებიც აღიწერებიან ჩვეულებრივი წრფივი დიფერენციალური განტოლებების დახმარებით

$$\dot{X}(t) = F(t)X(t) + G(t)w(t) + C(t)U(t), \quad t \geq 0, \quad (5.43)$$

(5.43) განტოლებაში  $X$  —  $n$  განზომილებიანი ვექტორია, რომელსაც უწოდებენ სისტემის მდგომარეობას.

$w$  —  $p$  განზომილებიანი ვექტორი, რომელსაც უწოდებენ აღმშოთხებას.

$U$  —  $r$  განზომილებიანი ვექტორი, რომელსაც უწოდებენ მართვას.

$F(t)$  არის  $n \times n$  განზომილების მატრიცა.

$G(t)$  არის  $n \times p$  განზომილების მატრიცა.

$C(t)$  არის  $n \times r$  განზომილების მატრიცა.

იგულისხმება, რომ ეს მატრიცები დროის მიხედვით არის უწყვეტი.

გამომავალი სიდიდეები იზომება გადამწოდების საშუალებით. განტოლებას აქვს სახე:

$$Z(t) = H(t) \cdot V(t) + V(t) \quad (5.44)$$

(5.44)

$\gamma$  —  $m$  განზომილების ვექტორია, რომელსაც უწოდებენ გაზომვის ვექტორს.

$v$  —  $m$ -განზომილებიანი ვექტორია, რომელსაც უწოდებენ გაზომვის შეცდომის ვექტორს.


$H(t)$  — არის უწყვეტი  $m \times n$  განზომილების მატრიცა.

#### 5.4 მატრიცა:

#### თვითმფრინავის მართვის გამარტივებული მოდელის გამოკვლევა

გამოვიყვლით თვითმფრინავის მართვის გამარტივებული მოდელი მისი პორიზონტალურად ფრენის შემთხვევაში ქარის ღინებში მიმართულების კუთხის ცვლილებას. ვუშვებთ, რომ ქარი გადახრის თვითმფრინავს მითითებული მიმართულებიდან და საჭიროა მოვახდინოთ მიმართულების ცვლილების კორექტირება საჭის შესაბამისი გადაადგილებით.

განვიხილოთ მხოლოდ ჰრტყელი მოძრაობა, ვთვლით, რომ თვითმფრინავი წარმოადგენს მყარ სხეულს წრფის მონაკვეთის სახით და ვუშვებთ, რომ კუთხური გადახრები მცირე სიდიდეებია. გრაფიკულად ეს მოდელი მოცემულია 20 ნახაზზე



ნახ. 20.

20 ნახ. თვითმფრინავის დინამიკის სქემატური მოდელი. 1. თვითმფრინავის ღერძული ხაზი. 2. გათვლილი მიმართულება. 3. მიმართულების ცვლილების ღერძი. 4. საჭე.  $\theta$  — მიმართულების ცვლილება.  $\phi$  — საჭის გადახრა.

მიმართულების ცვლილების ღერძი გადის სიმძიმის ცენტრში და ნახაზის სიზრტის ნორმალაა. იგულისხმება, რომ თვითმფრინავს აქვს ამ ღერძის მიმართ  $J$  ინერციის მომენტი. აღმდგენი მომენტი პროპორციულია საჭის გადახრისა. ბლანტი წინააღმდეგობა ბრუნვის მიმართ, რომელიც გამოწვეულია ქარის ტალღებით და კავშირი მიმართულების ცვლილების კუთხესა და კრენს შორის არის ძალიან მცირე.

ნიუტონის მეორე კანონის თანახმად

$$J\ddot{\theta} = -K\phi(t) + \omega_c(t)$$

სადაც,  $K_1$  — არის პროპორციულობის კოეფიციენტი საჭის გადახრისა და აღმდგენ მომენტს შორის ( $K > 0$ ),  $\omega_c(t)$  — მომენტი, რომელიც გამოწვეულია ქარის დატვირთვით.

გაეყვით განტოლება  $J\ddot{\theta}$  და აღვნიშნოთ

$$b = \frac{k_1}{J}, \quad u(t) = \varphi(t) \quad \text{და} \quad \omega(t) = \omega_0(t)/J.$$

გვაქვს

$$\ddot{\theta} = bu(t) + \omega.$$

მიღებული დიფერენციალური განტოლება არის მეორე რიგის. ამიტომ, მისი ამოხსნისათვის საჭიროა,  $u(t)$  და  $\omega(t)$  ცოდნასთან ერთად, გვექონდეს მოცემული ორი

საწყისი პირობა:  $\theta(t_0)$  მიმართულების კუთხის ღირებულება და  $\dot{\theta}(t_0)$  - მიმართულების კუთხის ცვლილების სიჩქარის საწყისი მნიშვნელობები.

შემოვიტანოთ ცვლადები  $X_1 = \theta$  და  $X_2 = \dot{\theta} = \dot{X}_1$  და სისტემის განტოლება ჩავეწეროთ შემდეგი სახით:

$$\dot{X}_1 = X_2,$$

$$\dot{X}_2 = bu(t) + \omega(t).$$

ან იგივე

$$\dot{X} = \begin{bmatrix} 0 & 1 \\ 0 & 0 \end{bmatrix} X + \begin{bmatrix} 0 \\ 1 \end{bmatrix} \omega(t) + \begin{bmatrix} 0 \\ b \end{bmatrix} u(t),$$

$$\text{სადაც } X = \begin{bmatrix} X_1 \\ X_2 \end{bmatrix}$$

მდგომარეობის ვექტორია, რომელიც ხასიათდება ორი ფიზიკური სიდიდით: მიმართულების კუთხის შეცდომისა და მიმართულების კუთხის ცვლილების სიჩქარისაგან.

თუ შევადარებთ მიღებულ განტოლებას, შემდეგ განტოლებას

$$\dot{X} = F(t)X + G(t)\omega(t) + C(t)u(t),$$

მივიღებთ,

$$F(t) = \begin{bmatrix} 0 & 1 \\ 0 & 0 \end{bmatrix}, \quad G(t) = \begin{bmatrix} 0 \\ 1 \end{bmatrix}, \quad C(t) = \begin{bmatrix} 0 \\ b \end{bmatrix}.$$

აღშვლითება  $\omega(t)$  და მართვა  $u(t)$  სკალარული სიდიდეებია.

დავუშვათ, რომ  $\theta$ -ს და  $\dot{\theta}$ -ს გაზომვა შეიძლება თერარზრანსებზე ინერციული სისტემების დასმარებით

$$Z(t) = \begin{bmatrix} 1 & 0 \\ 0 & 1 \end{bmatrix} X(t) + \nu(t),$$

$$\text{სადაც } Z(t) = \begin{bmatrix} Z_1(t) \\ Z_2(t) \end{bmatrix} \text{ არის გაზომვის ვექტორი,}$$

$$\nu(t) = \begin{bmatrix} \nu_1(t) \\ \nu_2(t) \end{bmatrix} \text{ გაზომვის შეცდომის ვექტორი,}$$

$\nu_1(t)$  -  $\theta$  კუთხის შეცდომის მნიშვნელობა,

$\nu_2(t)$  - მიმართულების კუთხის შეცდომის სიჩქარის მნიშვნელობა.

თუ შევადარებთ მიღებულ შედეგს (5.41) განტოლებას, მივიღებთ:

$$H(t) = \begin{bmatrix} 1 & 0 \\ 0 & 1 \end{bmatrix}.$$

ახლა გამოვიყვლით, არის თუ არა სისტემა დაკორექტირებადი. გამოვიყენოთ კალმანის

$$\text{შედეგი } \text{rank} \begin{bmatrix} H^1 & F^1 H^1 & \dots & (F^1)^{n-1} H^1 \end{bmatrix} = n.$$

$$F = \begin{bmatrix} 0 & 1 \\ 0 & 0 \end{bmatrix}, H = \begin{bmatrix} 1 & 0 \\ 0 & 1 \end{bmatrix}, F' = \begin{bmatrix} 0 & 1 \\ 1 & 0 \end{bmatrix}, H' = \begin{bmatrix} 1 & 0 \\ 0 & 0 \end{bmatrix}, F'H' = \begin{bmatrix} 0 & 0 \\ 1 & 0 \end{bmatrix}.$$

მაშინ მატრიცის რანგი

$$\text{rank} \begin{bmatrix} H'F'H' \end{bmatrix} = \text{rank} \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 1 & 0 \end{bmatrix} = 2$$

და სისტემა არის მთლიანად დაკორეებადი.

თუ დავუშვებთ, რომ იზომება მხოლოდ მიმართულების კუთხის შეცდომის სიჩქარე, მაშასადამე [01]

$$H' = \begin{bmatrix} 0 \\ 1 \end{bmatrix}, F'H' = \begin{bmatrix} 0 \\ 0 \end{bmatrix}, \text{rank} \begin{bmatrix} H'F'H' \end{bmatrix} = \begin{bmatrix} 0 & 0 \\ 1 & 0 \end{bmatrix} = 1.$$

ამ შემთხვევაში სისტემა არის არადაკორეებადი.

განვიხილოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი.

### მაგალითი 5.5

მოცემულია სისტემის განტოლება, რომელიც შედგება ორი ქვესისტემი-საგან:

$$\dot{X}_1 = A_{11}X_1 + A_{12}X_2 + B_1U(t),$$

$$\dot{X}_2 = A_{21}X_1 + A_{22}X_2,$$


$$Y(t) = C_1X_1 + C_2X_2.$$

საჭიროა, გამოვიყვილოთ სისტემის მართვადობა.

ამოხსნა. მოცემული განტოლებების მიხედვით ავაგოთ სისტემის სტრუქტურული სქემა.

ნახ.21 ნახაზიდან ჩანს, რომ სისტემა არ არის მთლიანად მართვადი, ვინაიდან მართვის ვექტორი მოქმედებს მხოლოდ I ქვესისტემაზე  $X_1 = [X_1, X_2, \dots, X_n]^T$ , ხოლო II

ქვესისტემა  $X_{II} = [X_1, X_2, \dots, X_n]^T$  ასრულებს თავისუფალ მოძრაობას, რომელიც განისაზღვრება  $A_{22}$  მატრიცით და საწყისი პირობებით.



ნახ. 21.

## მაბალოთი 5.6

შევისწავლოთ დაკვირვებადობა და მართვადობა შემდეგი სისტემებისა:

$$\dot{Y} + aY = bU.$$

შემოვიტანოთ მდგომარეობის კოორდინატები  $X_1 = Y$ ,  $X_2 = \dot{Y}$ , გვექნება:

$$\dot{X}_1 = X_2,$$

$$\dot{X}_2 = -aX_1 + bU.$$

მართვადობის მატრიცაა:

$$K_1 = \begin{vmatrix} CFC \\ b \end{vmatrix} = \begin{vmatrix} 0 & b \\ b & 0 \end{vmatrix} = -b^2 \neq 0,$$

$$H = \begin{vmatrix} 1 & 0 \end{vmatrix}, \quad F^1 = \begin{vmatrix} 0 & -a \\ 1 & 0 \end{vmatrix}, \quad C^1 = \begin{vmatrix} 1 \\ 0 \end{vmatrix}.$$

$$F^1 H^1 = \begin{vmatrix} 1 \\ 0 \end{vmatrix}.$$

დაკვირვებადობის მატრიცაა

$$K_2 = \begin{vmatrix} H^1 F^1 H^1 \\ H^1 F^1 H^1 \end{vmatrix} = \begin{vmatrix} 1 & 0 \\ 0 & 1 \end{vmatrix}.$$

სისტემა არის დაკვირვებადი და მართვადი.

ერთგანზომილებიანი სისტემისათვის  $H$  შედეგაა ერთი სტრუქტურისაგან, ხოლო  $H^1$  - ერთი სვეტისაგან.  $K_2$  მატრიცის განზომილებაა  $(n \times n)$  და სისტემის მთლიანი დაკვირვებადობის საკმარისია, რომ  $K_2$  მატრიცა იყოს გადუბეჭდვადი ე.ი.  $\det K_2 \neq 0$ .

## მაბალოთი 5.7

განვიხილოთ სისტემა ორი შემოქმედებით:

$$\dot{X}_1 = X_2 - U_1 + U_2,$$

$$\dot{X}_2 = X_1 - 2X_2 + 2U_2.$$

ამ შემთხვევაში:

$$F = \begin{vmatrix} 0 & 1 \\ 1 & 2 \end{vmatrix}, \quad C = \begin{vmatrix} -1 & 1 \\ 0 & 2 \end{vmatrix}, \quad FC = \begin{vmatrix} 0 & 2 \\ -1 & 5 \end{vmatrix}.$$

მართვადობის მატრიცაა:

$$K_1 = \begin{vmatrix} CFC \\ 0 & 2 & -1 & 5 \end{vmatrix}.$$

მატრიცის რანგი ტოლია 2-ის, ე.ი. სისტემა არის მთლიანად მართვადი.

6.1 ლაპასიანობის თეორია (ლინეარების იდენტიფიკაციის თეორია)

სისტემის მართვის ყველა ამოცანაში გვხვდება ერთ-ერთი ძირითადი დაშვება: მდგომარეობის მთლიანი ვექტორი შეიძლება ზუსტად გაიზომოს ეს პრაქტიკულად არაქალაქური. ძირითადად გვხვდება შემთხვევა, როდესაც მოცემულია სისტემისათვის მდგომარეობის განტოლება

$$\dot{X}(t) = A(t)X(t) + B(t)U(t), \quad X(t_0) = X_0, \quad (6.1)$$

შეიძლება გაიზომოს ცვლადების გარკვეული წრფივი კომბინაცია  $y(t) = C(t)X(t)$ . (6.2)

$y(t)$  ცვლადი არის  $l$  განზომილებიანი ვექტორი.  $l \leq n$ .  $y(t)$ -ს უწოდებენ დაკვირვების ცვლადს. ისმის ამოცანა: ისე აღვადგინოთ დაკვირვების ცვლადის მდგომარეობა, რომ თუ სამართლიანია ფუნქციონალი


$$\dot{X}'(t) = F(y(t)), \quad t_0 \leq t \leq t_1, \quad t_0 \leq t,$$

მაშინ  $X'(t) = X(t)$ , სადაც  $X'(t)$  არის აღდგენილი მდგომარეობა,  $t_0$ -დაკვირვების საწყისი მომენტი. უნდა აღვნიშნოთ, რომ  $F(y(\tau))$ ,  $t_0 \leq \tau \leq t_1$ , ე.ი. აღდგენილი მდგომარეობა  $X(t)$  არის ფუნქცია  $y(\tau)$ ,  $(t_0 \leq \tau \leq t)$ , წინა დაკვირვების და არ არის დამოკიდებული  $y(\tau)$ ,  $\tau \geq t$ , მომავალ დაკვირვებებზე. მას შედეგ რაც აღდგენილია მდგომარეობის ვექტორი, შეიძლება გამოვიყენოთ სისტემის მართვის ცნობილი მეთოდები, რომლებშიც ნამდვილი მდგომარეობა შეცვლილია აღდგენილი მდგომარეობით. ამ თავში განვიხილავთ დინამიური სისტემების განტოლებებს, რომელთა შემავალი სიდიდეებია საწყისი სისტემის შემავალი და გამომავალი ცვლადები, ხოლო

გამოსასვლელია  $\hat{X}(t)$  ვექტორის შეფასების კომპონენტები. დინამიურ სისტემას,

რომელიც აფორმირებს გამოსასვლელზე საწყისი, სისტემის  $\hat{X}(t)$  მდგომარეობას შემავალი და გამომავალი ცვლადებით, უწოდებენ სისტემის დამკვირვებელს, ან მდგომარეობის იდენტიფიკატორებს. ეს საკითხები პირველად დაამუშავა ლიუნბერგერმა და მას ხშირად აგრეთვე ლიუნბერგერის იდენტიფიკატორებს უწოდებენ.

განვიხილოთ ასიმპტოტური იდენტიფიკატორი ერთი შესასვლელით. მისი სტრუქტურა მოცემულია 22 ნახაზზე:



ნახ.22.

ამ იდენტიფიკატორის შესასვლელზე მოდებულია საწყისი სისტემის როგორც შემავალი. ისე გამოთვლილი სიდიდეები. გამოთვლილი  $y(t)=C^1X(t)$  ელარება  $\hat{y}(t)=C^1\hat{X}(t)$  და მათი სხვაობა მიეწოდება სისტემის შესასვლელზე, როგორც მაკორექტირებელი ზემოქმედება. სხვაობა  $[y-\hat{y}]=[y-C^1X]$  მრავალდება 1-იან ვექტორზე და მიეწოდება იდენტიფიკატორის ინტეგრატორებს. ამ იდენტიფიკატორის დინამიკა ძალიან არის დამოკიდებული 1 ვექტორის ამორჩევაზე. ამ ვექტორის საშუალებით მიიღწევა  $X(t)-\hat{X}(t) \rightarrow 0$ , როდესაც  $t \rightarrow \infty$ . წრფივ დინამიკურ სისტემას, რომლის გამოთვლილია  $\hat{X}(t)$  ვექტორი, უწოდებენ წრფივი სისტემის

$$\dot{X}(t)=AX(t)+BU(t), \quad y(t)=CX(t) \quad (6.3)$$

ასიმპტოტურ იდენტიფიკატორს, თუ  $X(t)-\hat{X}(t) \rightarrow 0$ , როდესაც  $t \rightarrow \infty$ .

### მთლიანი რიგის დამკვირვებლები

ბანსაზღვრა. სისტემა

$$\begin{aligned} \dot{q}(t) &= F(t)q(t) + C(t)y(t) + H(t)U(t), \\ Z(t) &= K(t)q(t) + L(t)y(t) + M(t)U(t) \end{aligned} \quad (6.4)$$

